წლიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატური ჟურნალი.

კვირა, 14 აგვისტო 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 30

## ჟურნალის შინაარსი

დემოკრატიის კრიზისი—**ყარიბი**; ქართველი ინტელიგენციის დეკლარაცია—**ლეო შენგელაია**; რეზოლიუცია—მიღებული ქართვ. ინტელიგენციის კრებაზე ხელოვნების სასახლეში; ვინ ღალატობს ქართველ ხალხს—**ს. დოლიძე**; „ბრძოლის“ კალმოსანი გ. შარაშიძე—**ს. გვიმრაძე**; ძველი მუშების ხმა—**ილია მანდარია** და **ა. საგანაძე**; ვენის ტრაღედია და მემარცხენე ს.-დემოკრატიის როლი **ალ. ხელაძე**; ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი—**ს. ელიაძე**; ომი და სოციალ-დემოკრატია—**ვ. ანდღულაძე**; ფიქრები მტკვრის პირად—**დ. თურდოსპირელი**; ყოფ. ახ. მარქსისტთა განყოფილება—სწავლა-განათლების საკითხები—**კ. ჭეიშვილი**; ქართველ ემიგრაციის ლიდერების უკანასკნელი დასაყრდენი—**ნ. ჯულელი**; წერილები პროვინციიდან.

# დემოკრატიის კრიზისი

## I

დღეს დემოკრატიის კრიზისი ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია: დღეს ამაზე სწერენ და მსჯელობენ დემოკრატიის ყველა ცნობილი ლიდერები. ყველა ისინი დღეს კარგად ხედავენ, რომ მათი როლი გათავებულია, რომ დემოკრატია თანდათან შორდება მათ, რომ ის დღეს სხვა გზას დაადგა და სხვადასხვა ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკში იყრის თავს, რომ მისი ყველა შემადგენელი ნაწილები, მათ მათი კლასობრივი ინტერესების მიხედვით, მიდიან ან კომუნისტების ბანაკში, ან ფაშისტების ძალებს ამდიდრებენ.

დემოკრატია უკვე დადგა გარკვეულ გზაზე: დღეს მისთვის არ არსებობს მენშევიკური რყევა, ერთ ადგილას ხტუნვა და მიწის ტკეპნა. დღეს მას აინტერესებს საქმე, მას რევოლიუციონური კრიზისებით ვერავინ ვერ გაიყოლიებს.

ეს არის მიზეზი, რომ დემოკრატიის ლიდერები ხმამაღლა გაჰყვირიან ამ მათთვის საბედისწერო მოვლენაზე... ამ დროებით ჩვენთვის ყველაზე უფრო საყურადღებოა ნოე ჟორდანიას წერილი:—„დემოკრატიის კრიზისი“, რომელიც „ბრძოლის“ 21 ნოემბერშია დასტამბული და რომელიც ავტორს უწინ, როგორც რედაქცია აცხადებს, ორ ფრანგულ გაზეთში დაუბეჭდია.

ამ წერილში ავტორი გამოდის დემოკრატიის კრიზისის ფაქტიდან და ცდილობს მოგვცეს ამ კრიზისის დამახასიათებელი თვისებები.

რაში მდგომარეობს დემოკრატიის კრიზისი? რაში გამოიხატება იგი?

კრიზისი „იხატება ორი ფორმით: იდეიურათ, მისი სამტრო მოძღვრების გავრცელებაში და პოლიტიკურათ, მრავალ დემოკრატიულ წყობილებათა დარღვევაში“. საყურადღებოა ის სიადვილე, რომლითაც ეს დარღვევა ხდება. ხშირათ საკმარისია ერთი ღამე, რამდენიმე საათის აფორიაქება, რომ გამთენიას თავისუფლებიდან დესპოტიაში ამოყოთ თავი“.

როგორც ხედავთ, დიდი უბედურება მომხდარა. მაგრამ ჩავყვეთ ცოტა ქვევით:

„მოხდა დემოკრატიის იდეიური კრიზისი, პირველ ყოვლისა მუშათა დემოკრატიის. მან ვერ გადაწყვიტა ძირითადი საკითხი ეკონომიური და პოლიტიკური მოძრაობის ურთიერთობის შესახებ. შესაძლებელია სოციალური რევოლიუცია პოლიტიკური დამონებით? მოსკოვმა ასეთი შესაძლებლობა დიდი ზეიმით გამოაცხადა და მუშათა შორის რასკოლი შეიტანა; ზოგი მას მიემხრო აშკარათ, ზოგი შეეჭვიანდა. სოციალისტური აზროვნების საფუძველი შეირყა, მისი კარები ფართეთ გაიღო და შიგ მობოლშევიკე სოციალისტებმა მოიკალათეს. დიდი თეორეტიკოსები და ლიდერები (კაუცკი, გედი, აქსელროდი და სხვა) დარჩენ უჯაროთ. მასა გაიტაცა უტოპიამ. ეს კრიზისი გრძელდება დღევანდლამდე. დღესაც საბჭოთა დემოკრატია გამოცხადებულია სოციალისტურ პარტიათა მზრუნველობის საგნათ. მარსელის კონგრესმა მხოლოდ მოსკოვი გამოყო და თავის მფარველობაში აიყვანა“. („ბრძოლა“, № 21, გვ. 2).

ასე აგვიწერს ნ. ჟორდანია დემოკრატიის კრიზისს. როგორც ხედავთ, სურათი სწორად არის გადმოცემული აქ დავა მხოლოდ სიტყვების ირგვლივ შეიძლება. არსებითად კი აქ ყველაფერი სწორია.

აქედან ცხადია, რომ დემოკრატია, როგორც ასეთი ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი ძველი შეგნებით, დღეს არ არსებობს. იგი უკვე დაშლილია. დემოკრატიის დიდი ლიდერები თეორეტიკოსები დღეს უჯაროთ არიან დარჩენილი.

რა იქნა დემოკრატია? მისი ერთი ნაწილი მიმხრობია ფაშიზმს, ხოლო მეორე ბოლშევიკებს. ნ. ჟორდანია თვითონ გვეუბნება:

„ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ დაიჩოქა ფაშიზმის წინაშე, ხოლო მუშათა დემოკრატიამ—ბოლშევიკების წინაშე“ (იხ. იქვე).

ყოველიფერი ეს მართალია, მაგრამ წამალი? სად არის ჟორდანიას დემოკრატიის ხსნა, მისი ძველ ფორმებ-

ში აღდგენის, ძველ რელსებზე მისი დაყენების საშუალება? დემოკრატიის ასეთ მხსნელად ჟორდანიას „სოციალისტური დემოკრატია“ მიაჩნია. ის გვეუბნება:

„სანამ თვით სოც.-დემოკრ. არ იკისრებს ამ მხსნელის როლს, მანამ დემოკრატიის კრიზისის დაძლევა შეუძლებელია“. (იხ. „ბრძოლა“. № 21).

ასეთია ნ. ჟორდანიას რეცეპტი.

ვისგან უნდა იხსნას ამ „სოციალისტურმა დემოკრატიამ“ ჟორდანიას დემოკრატია? ვის უნდა შეებრძოლოს იგი?

მკითხველი, რომელიც მიჩვეულია იმ აზრს, რომ ჟორდანია ცნობილი მარქსისტი და ცნობილი სოციალისტია, ამ კითხვაზე ასე გვიპასუხებს:

— ფაშიზმისაგან! „სოციალისტური დემოკრატია“ უნდა შეებრძოლოს ფაშიზმს, მან ფაშიზმის საშინელებისაგან უნდა დაიხსნას დემოკრატია!

ვაი რა მწარეთ ცდება მკითხველი! დღეს ნოე ჟორდანია ფაშიზმს არ ებრძვის. ის ფაშიზმის მტერი არ არის. ის დროებით მაინც ურიგდება ფაშიზმს. მუსოლინის რეჟიმი მას დროებით მაინც მისაღებათ მიაჩნია. ნოე ჟორდანია დღეს ებრძვის მხოლოდ და მხოლოდ კომუნიზმს. ის ებრძვის კომუნისტებს და მის წინააღმდეგ მოუწოდებს „სოციალისტურ დემოკრატიასაც“.

არა გჯერათ? მეც არ მჯეროდა, რომ ნოე ჟორდანია ასეთ რამეს დასწერდა, მაგრამ ძალა უნებურად დავიჯერე, როცა მისი საკუთარი ხელით „ბრძოლის“ თეთრ ფურცელზე შავით სწერია:

**„სანამ სოციალისტური დემოკრატია ხოლშევიზმს თავის აშკარა მტრათ არ გამოაცხადებს და ყოველივე ყოჟმანს ამ სფეროში არ უარყოფს, მანამდი ფაშიზმი ვერ დაითრგუნება და საზოგადოება ვერ გადარჩება მისი ბრჭყალებიდან“.** (ხაზი ჩვენია).

ახლა ხომ ყველასთვის აშკარაა, რომ ნოე ჟორდანია „სოციალისტურ დემოკრატიას“ მოუწოდებს არა ფაშიზმის წინააღმდეგ, არამედ კომუნიზმისა და კომუნიზმების წინააღმდეგ.

აქ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო იმის აღმოსაჩენათ, რომ ნ. ჟორდანიას კომუნიზმი და კომუნისტები იმდენათ ეჯავრება, ისე ცოფსა გვრის მათი ხსენებაც კი რომ ის კარგავს ყოველგვარ ზომიერებას, ღალატობს უბრალო ლოღიკას, კარგავს საღი მსჯელობის უნარს და ამბობს უდიდეს უაზრობას. აბა დაუკვირდით.

მუშათა დემოკრატიას, ესე იგი სოციალისტურ დემოკრატიას ნ. ჟორდანია ეუბნება: ფაშიზმს არ შეებრძოლო. ის დღეს შენთვის საშიში არ არის. შენ მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტებს, ესე იგი შენს საკუთარ პარტიას შეებრძოლე. მხოლოდ კომუნისტური პარტია, ესე იგი შენი საკუთარი თავი მოსპეო.

ხუ თუ ამაზე მეტი შეიძლება?!

ვინ არის ეს ნოე ჟორდანიას დემოკრატიის მხსნელი „სოციალისტური დემოკრატია?“ ის ხომ იგივე მუშათა დემოკრატიაა? ვის თანაუგრძნობს იგი? ვის მხარეზეა? რა თქმა უნდა,კომუნისტებსა და კომუნიზმს. ამას ეთანხმება თვითონ ნოე ჟორდანია, რომელიც იმავე „დემოკრატიის კრიზის“-ში გვეუბნება:

„ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ დაიჩოქა ფაშიზმის წინაშე, მუშათა დემოკრატიამ კომუნიზმის წინაშეო“. („ბრძოლა“, № 21).

აქედან ცხადია, რომ როცა ნ. ჟორდანია ამ „კომუნიზმის წინაშე“ დაჩოქილ დემოკრატიას ეუბნება: კომუნიზმი და კომუნისტები უნდა დაამხოვო, იგი ამ დემოკრატიას თავისი საკუთარი პარტიის წინააღმდეგ ამხედრებს, თავის მკვლელობას ურჩევს.

ეს ერთობ დამახასიათებელია არა მარტო ჟორდანიასთვის. ეს ყოვლად უილაჯო აზროვნება ახასიათებს დღეს მსოფლიო მენშევიზმის ყველა ბელადებს. ყველა ისინი თვითმკვლელობას ურჩევენ სოციალისტურ პარტიებს. და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ დემოკრატიის „დიდი თეორეტიკოსები და ლიდერები დარჩენ უჯაროთ?“ ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ დემოკრატიამ მათ გააჯირგალოს და გასრისოს ისე, როგორც გასრისა რუსეთის მენშევიზმის ბელადები რუსეთის სოციალისტურმა დემოკრატიამ, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუციით აღგვა ისინი პირისაგან ქვეყნისა.

მენშევიზმის ძველ იდეოლოგს ნ. ჟორდანიას ვერ დაუხსომებია წარსულის გაკვეთილი, მას ვერ გაუკეთებია იქიდან ვერავითარი ლოღიკური დასკვნა. სამწუხაროდ, მას სულ დავიწყებია ის, რაც იცოდა. მას მხოლოდ ერთი რამე შერჩენია. ეს არის კომუნიზმისა და კომუნისტების სიძულვილი, ბრაზი, ცოფი და ყოველი ეს კი ისეთი რამ არის, რაც რა თქმა უნდა ვერ შეუწყობს ხელს საღსა და გონება დამჯდარ აზროვნებას.

ნ. ჟორდანია დღეს სულ ერთიანად შეუპყრია ამ საშინელ გრძნობას. ის ებრძვის არა თუ კომუნისტებს, ებრძვის თავის საკუთარ ამხანაგებსაც კი, თუ კი მათ ოდესმე კომუნისტების სასარგებლოდ ერთი სიტყვა წამოცდათ. ის ებრძვის ოტტო ბაუერს მხოლოდ იმიტომ, რომ მან სადღაც რაღაცა სთქვა კომუნისტების სასარგებლოდ. ნ. ჟორდანია გულდაწყვეტით ამბობს:„მარსელის კონგრესმა ყველა სახელმწიფოებისაგან მხოლოდ მოსკოვი გამოყო და თავის მფარველობაში აიყვანაო“.

მერე რაში მდგომარეობს ეს „გამოყოფა“ და „მფარველობაში აყვანა?“

სოციალიზმის ღალატი. კომუნისტების მტრებისთვის მხარის დაჭერა. გამცემლობა!—თუ ყოველი ეს „მფარველობაა, მაშინ ჩვენ არ ვიცით, რა არის მტრობა?!

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს პირდაპირ საგანს.

დემოკრატიის კრიზისი ფაქტია, მაგრამ რამ გამოიწვია, რატომ მოხდა იგი?

„იმიტომ, რომ დემოკრატიამ ვერ გამოიჩინა შესაფერი მოქნილობა ახალ გარემოებათა შესაგუებლათ, ახალ, გადაჯგუფებულ მტერთა გასარჩევათ და მოსაგერებლათ. ის ჩარჩა ძველ ჩარჩოში ძველათ გაცემული თამასუქებით და შეთვისებული ბრძოლის მეთოდებით მაშინ, როდესაც მისი მოპირდაპირე ბანაკი სრულიად ახალ ფორმატის და სახისაა“. („ბრძოლა“, № 21 გვ. 2)

თუ დემოკრატიის კრიზისის სურათი ავტორმა ჩინებულად დაგვიხატა, ამ კრიზისის მიზეზების მის მიერ მოცემული ახსნა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს. ეს მეტის-მეტად პრეტენციოზულ, თანაც ყოვლად უძლური და უიმედო ახსნაა ყველასთვის აშკარა ფაქტისა.

ნ. ჟორდანია თვითონ გვეუბნება, რომ დღეს დემოკრატია ორ ნაწილად არის გაყოფილი: ბურჟუაზიული დემოკრატია ფაშისტების წინაშე არის დაჩოქილი, მუშათა დემოკრატია კომუნისტებთან არის.

რატომ? რამ აიძულა ეს ჟორდანიას დემოკრატია ასე დაყოფილიყო?

ყველა მარქსისტი ამას მარქსისტულად ახსნიდა. ის იტყოდა: დემოკრატიის ორივე ნაწილი მოქცეულა ისე, როგორც ამას მოითხოვდა მისგან მისი კლასობრივი ინტერესები. ბურჟუაზიული დემოკრატია, ესე იგი ხალხის ის ნაწილი, რომელსაც ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ გაუწყვეტია კავშირი ბურჟუაზიასთან, ამ გაჭირვების დროს უნდა დაბრუნებოდა თავის ძველ ოჯახს, თავის კერას, თავის, თუმცა მკაცრ მამინაცვალს, მაგრამ მაინც იმ კლასს, რომელთანაც მას ჯერ კიდევ აკავშირებენ მისი სასიცოცხლო ინტერესები. მისი ასეთ გაგადაწყვეტილებაში უკანასკნელ როლს არ თამაშობს ის გარემოებაც, რომ თუმცა მას არ უყვარს ეს მისი მამისნაცვალი ბურჟუაზია, მაგრამ მას კიდევ უფრო აშინებს ის გზა, რომელსაც მუშათა დემოკრატია დაადგა და რომელიც პირდაპირ მიდის კომუნისტებისაკენ.

სად უნდა წასულიყო მუშათა დემოკრატია, ესე იგი დემოკრატიი ის ნაწილი, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ გაუწყვეტია ყოველგვარი კავშირი ბურჟუაზიასთან? ვის უნდა მიმხრობოდა იგი? ის ან ისევ უნდა დაბრუნებოდა თავის მოსისხლე მტერს, ბურჟუაზიას, რაც ისევე შეუძლებელი იყო, როგორც თოფიდან გასროლილი ტყვიის უკან დაბრუნება, ან უნდა გაენეგრძო თავისი საკუთარი, ერთხელ და სამუდამოდ არჩეული გზით სიარული, რომელსაც კომუნისტების ბანაკში მიყავდა. მუშათა დემოკრატია ასეც მოიქცა. ის შეუერთდა კომუნისტებს,

აილო ხელში მათი ხმალი და ებრძვის მათ მტრებს, თავის საკუთარ მოსისხლე მტრებს.

ასე ახსნიდა ამ ყველასთვის აშკარას და თანაც ყოველი მარქსისტისთვის უაღრესად სასიამოვნო ფაქტის მარქსისტი, რომელმაც იცის, რომ დღეს მთელი მსოფლიო ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ განწყობილი ბანაკად არის გაყოფილი, რომ მესამე ბანაკი არ არსებობს და თუ ჯერ კიდევ არსებობს რამე მეორე ინტერნაციონალის სახით, იგი უკვე განწირულია, რომ ის ირღვევა და ისპობა, რადგან იგი ნ. ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ „გახდა სინონიმით, სიძაბუნის, გაუბედაობის, ერთი ადგილის ტკეპნის, სიტყვიერების“ და... სოციალიზმის გამცემლობისა—დავუმატებთ ჩვენ.

ნ. ჟორდანიას ეს არა სჯერა. ის ამ სრულიად ბუნებრივ მოვლენას მეტაფიზიკურად ხსნის. მისი აზრით, ამ მოვლენის მიზეზი ის არის, რომ:

„დემოკრატია შედრკა, დაიბნა და მტერს გზა გაუხსნა“.

მარქსისტი ასე ვერ იმსჯელებს. მან იცის, რომ დემოკრატია, დემოსი, ხალხი არ წარმოადგენს ერთი ინტერესებით გამსჭვალულს, ერთ სულოვანსა და ერთ ხორცოვან არსებას. ის არ წარმოადგენს უცვლელს, მონოლიტურ არსებას. ის ცვალებადია. ასეთი იყო იგი რევოლიუციამდე. რევოლიუციამ ხომ კინემატოგრაფიულის სისწრაფით დააჩქარა დემოკრატიის ჩამოყალიბებისა და მისი დაშლის პროცესი.მან ერთის სულის მობერვით ჩამოაყალიბა ის ძველი, უხერხემლო, ლორწო ტანიანი დემოკრატია, რომელიც მუდამ რყევაში იყო,რომელიც ხან ერთ ძლიერ კლასს ემხრობოდა, ხან მეორეს.

ჩამოყალიბდა დემოკრატია, დაიყო იგი სხვადასხვა ნაწილებათ მათ-მათი კლასობრივი ინტერესების მიხედვით და ამან გამოიწვია ჯერ უნახავი, დემოკრატიის ძველი ბელადებისათვის წარმოუდგენელი მოვლენა: დემოკრატიის ყველა ნაკადებმა უცბად მონახეს თავთავის შესაფერი. სრულიად ბუნებრივი ადგილები: ისინი უცბათ დარიგდენ იმ კლასებში, რომლებთანაც ყოფნას მათ უკარნახებდა მათი სასიცოცხლო ინტერესები.

ამნაირად გაიყო ქვეყანა ორ ბანაკად: ერთში ფრიალებს კომუნიზმის წითელი დროშა, მეორეში—ფაშიზმის შავი დროშა.

სამწუხაროდ. საზოგადოებრივი კლასების ასე ჩამოყალიბების პროცესი ჯერ დამთავრებული არ არის. ჯერ კიდევ არ ამოწურულა დემოკრატიის მთელი შემადგენლობა, ჯერ კიდევ არ დარიგებულა იგი ამა თუ იმ კლასებს შორის. ჯერ კიდევ არსებობს დემოკრატიის ცენტრი. მართალია, ეს ცენტრი თანდათან იშლება. ის დაიშლება, რადგანაც ვერ გაუძლებს ამ უდიდესი ნგრევის პროცესის ძალას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც არსებობს იგი თავის ორგანიზაციით, რომლის სახელიც მეორე ინტერნაციონალია.

მეორე იტერნაციონალის არსებობა დღეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ სავსებით არ გაწმენდილა დემოკრატიის ძველი ფარვატერი. როცა იგი გაიწმინდება, როცა დემოკრატიის ის ნაკადი, რომელიც დღეს მეორე ინტერნაციონალის მრევლის სახით გვევლინება, თავის ბუნებრივ გზას მონახავს, მაშინ შეუძლებელი იქნება მეორე ინტერნაციონალის არსებობაც.

ეს პროცესი უკვე სწარმოებს იმავე კინემატოგრაფიულის სისწრაფით. მეორე ინტერნაციონალმა უკვე მონახა გზა ბურჟუაზიის ბანაკისაკენ. მეორე ინტერნაციონალის მრევლში უკვე სწარმოებს დუღილი: ის უკვე ყალიბდება თავისი სოციალური და ეკონომიური ინტერესების მიხედვით. აქ უკვე სწარმოებს შეუჩერებელი რღვევა და წმენდა. დემოკრატიის ცენტრი დღეს ახალ ღვინოსავით დუღს. მისი უფრო სასიცოცხლო ნაწილი, დაწმენდილ განახლებულ, იძენს ახალ ძალას და თანდათან უახლოვდება კომუნისტებს. მეორე ნაწილიც თანდათან უფრო ირღვევა, ისიც პოულობს თავის ბუნებრივ გზას: ის იქცევა ღვინის ნალექათ, თხლეთ და მიდის ფაშისტების ბანაკში.

ყოველივე ეს ხდება ჩვენს თვალწინ. ხდება ძალდაუტანებლად, სრულიად ბუნებრივად, ისე, როგორც წყალი მიექანება დაღმართისაკენ, როგორც დღე ღამეს სცვლის და ღამე დღეს.

და ტყუილია მეორე ინტერნაციონალის ლიდერებისა და კერძოდ ნ. ჟორდანიას წუწუნი დემოკრატიის დაფრთხობის ან მისი მოღალატეობის შესახებ: —„დემოკრატია შედრკა, დაიბნა და მტერს გზა გაუხსნაო“.

ამის მტკიცება ისევე უსაფუძვლო და თანაც მეტაფიზიკურია, როგორც იმის მტკიცება, რომ ღამე შედრკა, დაიბნა და დღეს გზა გაუხსნაო. ეს ხდება სრულიად ბუნებრივად. და რამდენიც არ უნდა იკრუხონ დემოკრატიის თავზარდაცემულ კრუხებმა, რამდენიც არ უნდა მოუწოდონ მათ დემოკრატიას თავის ფრთათა ქვეშე, ისინი მიზანს ვერ დასწვდებიან: ისინი დარჩებიან უჯაროთ, უდემოკრატიოთ, უხალხოთ.. ამას ისინი დღეს თვითონაც არ მალავენ. დღეს ისინი მხოლოდ გამოსავალს ეძებენ ამ მდგომარეობიდან...

დღეს ჩვენ მოწაფენი ვართ დემოკრატიის დიდი ბელადების, ძველი ბელადების, უდიდესი ტრაღედიისა. დღეს ისინი ისეთ ტრაღიკულ მდგომარეობაში არიან, როგორშიც უნდა იყოს კრუხი, რომელსაც უგულო ადამიანებმა იხვის წიწილები გამოაჩეკიეს. წიწილები შორდებიან კრუხს, ემორჩილებიან ბუნების კანონს და მიყვებიან წყლის ტალღებს. თავზარდაცემული კრუხი კი კრუხუნობს ნაპირზე, მაგრამ ამაოთ ეძახის იგი წიწილებს სხვადასხვა ჰანგებზე...

მოხდება ხოლმე მარცხი: დემოკრატიის ლიდერების ზოგიერთ უფრო საღათ მოაზროვნე ელემენტებს, როგორიც არის, მაგალითად, ოტტო ბაუერი, ხანდახან კომუნისტების სასარგებლო ჰანგიც წასცდება. მაგრამ ეს მხოლოდ მარცხად მოხდება ხოლმე და ისიც როგორც გამონაკლისი. ისე კი დემოკრატიისა და დემოკრატიზმის „დიდი თეორეტიკოსები და ლიდერები“რჩებიან დემოკრატიისა და დემოკრატიზმის ძველ კატეხზმოს ერთგულ დარაჯებათ. კომუნიზმისა და კომუნისტების მიერ თავზარდაცემულები, ისინი მიყვებიან დემოკრატიის ნაკურს, თხლეს და თანდათანდათან უახლოვდებიან ფაშიზმის ბანაკს.

ვიმეორებთ: ყოველი ეს ხდება სრულიად ძალდაუტანებლად, ხდება ისტორიულის აუცილებლობით, ხდება იმიტომ, რომ ცოცხალ ორგანიზმს არ შეუძლია ერთ ადგილზე დგომა, ერთი ადგილის ტკეპნა; დემოკრატიას არ შეუძლია მუდამ სიტყვიერების ბურუსში ყოფნა, ის ან უნდა მოკვდეს, ან უნდა დაიძრას მკვდარი წერტილიდან.

დემოკრატიაც დაიძრა მკვდარი წერტილიდან. მან მონახა ახალი გზები. ის უკვე მიდის თავის ბუნებრივის გზით... იდეოლოგებიც ხომ ბოლოს და ბოლოს ამ დემოკრატიის ორაგნიული ნაწილია და რათ უნდა გვიკვირდეს, რომ ისინიც ადგილიდან დაიძრენ. სამწუხარო და სავალალო მხოლოდ ის არის. რომ ეს ლიდერები,—დავასახელოთ ისინი: კაუცკები, მაკდონალდები, ბაუერები, ჟორდანიები, რომლებიც ჩვენ ასე გვიყვარდენ,—არ გაყვენ, ან უფრო სწორად რომა ვთქვათ, ვერ გაყყვენ სოციალისტურ დემოკრატიას. სამწუხაროა, რომ ისინი ბოლომდე შერჩენ დემოკრატიის ცენტრს, რომ ისინი სამუდამოთ ჩაეფლენ დემოკრატიის ნაკურში და მასთან ერთად მიექანებიან ფაშისტების ბანაკისაკენ.

რა უნდა ვქნათ? სჩანს. ასეთია მათი წვრილი ბურჟუაზიული ბუნება!

მაგრამ ამ ლიდერებს ჩვენ ამას უსაყვედურებთ, რადგანაც ისინი აქ არაფერ შუაში არიან. აქ მათი მტყუნება იმას ემსგავსება, რომ წყალწაღებულს ბრალდება წამოვუყენოთ: რატომ წყლის ტალღებს მიყვები და ნაპირზე არ გამოდიხარო?

აი ის, რასაც ნოე ჟორდანია დემოკრატიის კრიზისათ ასაღებს და რის შეჩერებასაც ის ცდილობს. ნ. ჟორდანიამ უნდა იცოდეს,—მან უწინ ეს იცოდა,—რომ ერთი მთლიანი დემოკრატია არასოდეს არ არსებობდა, მით უმეტეს ის არ არსებობს და არც შეუძლია იარსებოს დღეს, უდიდესი რევოლიუციის შემდეგ.

მაშასადამე მაზე წუწუნი. მისი უკან დაბრუნებაზე,

მისი ძველ კალაპოტში ჩაყენებაზე ზრუნვა არა თუ განწირული საქმეა, იგი პირდაპირ კონსერვატიული, და თუ გნებავთ, ფაშისტურია.

ამ პროცესის შეჩერება ისტორიის ჩარხის შეჩერებას უდრის. ეს იქნებოდა კაცობრიობის ერთ წერტილზე გაყინვა. ეს იქნებოდა საზოგადოების ძველ ფორმებში დარჩენა. ამ ნგრევის პროცესის შეჩერებაზე ზრუნვა ნიშნავს იმ ძველის აღგენაზე ზრუნვას, რომელსაც ჩვენ ყველა კაუცკებთან და ჟორდანიებთან ერთად ვებრძოდით და რომელიც საუკუნით დაასამარა დიდმა რევოლიუციამ.

დღეს მთელი მსოფლიო ორ სამკვდრო-სასიცოცხლოთ განწყობილ ბანაკათ არის გაყოფილი. მალე, სულ მალე ეს ორი ბანაკი ერთმანეთს დაეჯახება. დაიმსხვრევა ის, რაც აუცილებლად უნდა დაიმსხვრეს, რაც დრო გადასული და განწირულია...

და თანამედროვე იმპერიალისტურ მსოფლიოს ნანგრევებზე აღსდგება ახალი მსოფლიო, ახალი კაცობრიობა, სვე-ბედნიერი კაცობრიობა...

ყარიბი.

# ქართველი ინტელიგენციის დეკლარაცია

ამ უკანასკნელ ხანებში მოხდა მრავალი კრება, სადაც ჩვენი სზაოგადოების სხვადასხვა წრეებმა საქვეყნოდ დაგმეს მენშევიკური ემიგრაციის ახალი ცდები, მიმართული საქართველოში ახალი ავანტიურის მოწყობისაკენ.

კიდევ ერთი ასეთი კრება გაიმართა ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით ხელოვანთა სასხლეში ა.-წ. 5 აგვისტოს. ამ კრებას დაესწრენ არა რომელიმე პროფ. დარგის მუშაკები, არამედ **მას დაესწრენ უმაღლესი პოლიტიკური კვალიფიკაციის ჩვენი ინტელიგენცია**, ამით განირჩევა ეს კრება სხვა ანალოგიურ კრებებისაგან, ამაშია მისი უმთავრესი თავისებურება. ეს ის ინტელიგანციაა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და აღიზარდა პოლიტკური დემოკრატიისა და სოციალიზმის პრინციპებზე.

1918 წელს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. რას ნიშნავდა ეს ეროვნული ყოფის თვალსაზრისით? ქართველი ერი არის ერთი უძველესი ერი, თანატოლი ფინიკიელებისა, ეგვიპტელებისა, რომაელებისა და სხვათა, რომლებიც დროთა ბრუნვაში აღიგვენ ზურგიდან მიწისა.

ქართველი ერი გადარჩა ასეთ ფინალს.

1918 წელს მოხდა ჭეშმარიტად ამ ბებერი ერის გაახალგაზრდავება, მან გამოაცხადა დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობა და ასი წლის სახელმწიფოებრივი ანაბიოზის შემდეგ საქართველო ისევ ფეხზე წამოდგა. ამნაირად ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიულსა და სოციალისტურ ტვირთს მიემატა ახალი უძვირფასესი ბაგაჟი—**დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველო.** აი ამ მძიმე ტვირთით დატვირთული ქართველი ინტელიგენცია მოვიდა 5 აგვისტოს კრებაზე და გაუკეთა ჯამი იმ ბრძოლას,რომელიც ჩვენში წარმოებდა 6 წლის განმავლობაში. რა სთქვა ამ კრებამ?

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ იგი მოწვეულ იქნა ჩვენი მცხოვანი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის მიერ. ის ფაქტი, რომ ქართველ სოცილაისტურ ინტელიგანციას საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის საკითხზე იწვევს თუმცა დიდათ პატივცემული, მაგრამ მაინც არა სოციალისტი ნიკო ნიკოლაძე, ერთის შეხედვით თუ გნებავთ კურიოზულიც არის, მაგრამ ამაში გამოიხატა მდგომარეობის მთელი სირთულე, უაღრესი თავისებურება და სერიოზულობა.

ნიკო ნიკოლაძეს ყოველთვის ახასიათებდა **რეალობის უდიდესი გრძნობა** და როდესაც ის გვეუბნება: მე სოციალისტი არა ვარ, მაგრამ ჩემი სამშობლოს კეთილდღეობისათვის მე მზად ვარ ჩემი უკანასკნელი ძალღონე საბჭოთა აღმშენებლობას შევსწირო—ეს არის საუკეთესო საბუთი იმის, რომ ქართველ სოციალისტსა და პატიოსან, პატრიოტს, თუ ის თავის ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს არ უღალატებს, არა აქვს სხვა გზა, გარდა საბჭოთა ხელისუფლებასთან ლოიალობის და თანამშრომლობისა. თუ ჩვენის ნუსხით მატარებელი არ მიდის—რა ვქნათ თქვენი ჭირიმე: არ ჩავჯდეთ მატარებელში ან კიდევ უარესი—იგი ლიანდაგიდან გადავაგდოთ, როცა ვიცით, რომ მასში ჩვენი სამშობლოა?!

5 აგვისტოს კრებაზე მიღებული დეკლარაცია, იძლევა იმ ბრძოლის შეფასებას, რომელსაც ჩვენში ზოგიერთი წრეები ამ 6 წლის განმავლობაში აწარმოებდენ გეზი აღებული ანტი-საბჭოთა პარტიების მიერ ერთხელ, კიდევ დაგმეს თვით იმათ, ვინც მას ცხოვრებაში ატარებდა. ეს არის. საუკეთესო ილიუსტრაცია იმის, თუ რამდენად უნიადაგოა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე ემიგრაციის დირექტივები.

„საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დამყარების დღიდან, ნათქვამია რეზოლიუციაში, დაიწყო მისდამი მტრულად განწყობილი ელემენტების ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის განვითარებამ ჩვენი ქვეყანა 1924 წლის აგვისტოს დღეებამდე მიიყვანა. აგვისტოს აჯანყება ამ გეზის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოდგენს. **აჯანყება დამთავრდა დამარცხებით. ეს იყო დამარცხება იმ გეზისა და ბრძოლის იმ მეთოდების, რომელნიც საქართველოს ემიგრაციამ თავიდანვე აიღო და რომლის გამო ქართველ ერს თავზე საშინელი უბედურება დაატყდა“.**

აი, ულმობელი განაჩენი რიცხვით მეორე (პირველი გამოიტანა დამფ. კრებამ 1921 წელს ბათომში), რომელიც 6 წლის განმავლობაში ჟორდანია-რამიშვილის პოლიტიკას ჩვენმა ინტელიგენციამ გამოუტანა...

ქართველი ინტელიგენცია ითვალისწინებს, თუ რა მოჰყვება საბჭოთა ხელისუფლების დამარცხებას და სამართლიანად ამბობს: „საბჭოთა წყობილების დამარცხებას მოჰყვება რუსეთში რეაქციის გაბატონება, რაც გაცილებით ნაკლებ პერსპექტივებს უშლის ქართველ ერს მის ეროვნულ და ეკონომიურ წარმატების გზაზე“.

როგორია საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა ჩვენში? დეკლარაცია გვიპასუხებს: **„საბჭოთა ხელისუფლებამ მიუხედავათ მეტად მძიმე პირობებისა, ექვსი წლის განმავლობაში საკმაოდ დაამტკიცა, რომ იგი ყოველ ზომებს იღებს საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად განვითარებისათვის“.**

მაშ, რა უნდა ჰქნას ქრათველმა ერმა? მან უნდა უარჰყოს „აჯანყება და საამისო მუშაობა“, რომელიც არის „უდიდესი დანაშაული ქართველი ერის წინაშე“. საალმშენებლო მუშაობაში უნდა „ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა“.

ასეთია მოკლედ დეკლარაციის შინაარსი.

ამის შემდეგ ცხადია არსებობს ორი სხვადასხვა ბანაკი. ერთია „უმანკო“ ემიგრაცია საქართველოს ნიადაგს მოწყვეტილი და ავანტიურის ციებ-ცხელებით შეპყრობილი, მეორეა „ცოდვილი“ საბჭოთა საქართველო მისი „ცოდვილი“ ინტელიგენციითა და ხალხით, რომელიც ჩაბმულია უდიდეს საალმშენებლო მუშაობაში.

ლეო შენგელაია.

# რეზოლიუცია

**მიღებული ქართველი ინტელიგენციის კრებაზე ხელოვნების სასახლეში 5 აგვისტოს ამხ. ლ. ლოლოზერიძის მოხსენების გამო:**

„უკვე ათი წელიწადი სრულდება, რაც ახდილი ბრძოლა სწარმოებს ორ სოციალ-პოლიტიკურ სისტემის შორის. მებრძოლ მხარეებად არიან, ერთის მხრივ—ბურჟუაზიული იმპერიალისტური სახელმწიფოები და, მეორეს მხრივ —საბჭ. რესპუბლიკების კავშირი. ამ ბრძოლის განვითარების პროცესში ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ორბიტაში მოექცა—საქართველოში საბჭოთა წყობილება დამყარდა. დღიდან ამ წყობილების დამყარებისა მისდამი მტრულად განწყობილ ელემენტების მხრივ დაიწყო ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრძოლას ასულდგმულებდა ის სულიერი განწყობილება და ის პოლიტიკური სურვილები, რომელნიც ვერ იყვენ შეგუებულნი ცხოვრების რეალურ პირობებთან. ბრძოლის მთავარ მებაირახტრეთ გამოდიოდა საქართველოს ემიგრაცია და შინ დარჩენილი უკმაყოფილო ელემენტები. ამ ბრძოლის განვითარებამ ჩვენი ქვაყანა 1924 წლი საგვისტოს დღეებამდე მიიყვანა. აგვისტოს აჯანყება ამ გეზის განვითარების უმაღლეს წერტილს წარმოადგენს. აჯანყება დამთავრდა დამარცხებით ეს იყო დამარცხება იმ გეზისა და ბრძოლის იმ მეთოდებისა, რომელნიც საქართველოს ემიგრაციამ თავიდანვე აილო და რომლის გამო ქართველ ერს თავზე საშინელი უბედურება დაატყდა. მანამდიც ცხადი იყო, ხოლო აგვისტოს დღეებში კიდევ უფრო მეტი სიცხადით გამოაშკარავდა, რომ ის მსოფლიო მნიშვნელობის საკითხი, რომლის ირგვლივ მთელს ქვეყანაზე ძალთა დარაზმვა სწარმოებს, ვერ გადასწყდება მხოლოდ საქართველოში და ამ უკანასკნელის ძალებით. აშკარა შეიქნა. რომ საჭიროა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები შეუთავსდეს იმ სისტემას, რომელშიაც საქართველო, ისტორიის განაჩენით არის მოქცეული. ასეთი შეთავსება საბჭოთა სისტემასთან ჩვანთვის არ აწარმოადგენს სიძნელეს, რადგანაც ქართველ ინტელიგენციას ყოველთვის ახასიათებდა რადიკალიზმი სოციალ-ეკონომიურ საკითხებში.

დღეს საერთაშორისო მდგომარეობა მეტად გართულებულია. ქვეყნიერების წინაშე კვლავ ომის საფრთხეა აღმართული. სადაც არ უნდა დაიწყოს ომი და საბაბიც მას წინ არ უნდა უძღოდეს, მომავალი ომი აუცილებლად საერთაშორისო ხასიათს მიიღებს და გადასაწყვეტ მთავარ საკითხთა შორის დაისმის საბჭოთა წყობილების და ხელისუფლების არსებობის საკითხიც. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ამ საკითხთა შორის არ დაისმის სპეციალურად საქართველოს საკითხი და ქართველი ერი ასეთ ომში ვერ ჩაერევა, როგორც საკუთარი სეპარატიული მატარებელი ძალა. ეს მისთვის შეუძლებელია, ქართველი ერი აგრეთვე ითვალისიწნებს იმასაც, რომ ამ ბრძოლაში საბჭოთა წყობილების დამარცხებას მოყვება რუსეთში რეაქციის გაბატონება, რაც გაცილებით ნაკლებ პერსპექტივებს უშლის ქართველ ერს მის ეროვნულ და ეკონომიურ წარმატების გზაზე, ამიტომ მომავალი ხელისუფლება, რომელიც ამგვარ პირობებში იქნება წარმოშობილი რუსეთში, ჩვენთვის მიუღებელია. ეს ჩვენთვის უდავოა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ, მიუხედავად მეტად მძიმე პირობებისა, ექვსი წლის მუშაობით საკმაოდ დაამტკიცა, რომ იგიც ყოველ ზომებს იღებს საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად განვითარებისათვის. ამიტომ უნდა დაიგმოს ის გზა და ის საქმიანობა, რომელსაც საბჭოთ რესპუბლიკების საწინააღმდეგო ომისკენ მივყევართ, არა მარტო იმიტომ, რომ ომი თავისთავად საფრთხეს უმზადებს ხალხის დოვლათს, კულტურას და ფიზიკურ არსებობას, არამედ იმიტომაც, რომ იგი ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ინტერესებსა და ზრახვებს. ასევე უნდა დაგმოს ამ შესაძლებელ ომის დროს რაიმე შინაური გართულება, ექსცესების მოხდენა და აჯანყების სამზადისი.

იმ მძაფრი ეკონომიური და პოლიტიკური ტკივილებისა და კრიზსები შემდეგ, რომელნიც განიცადა ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო ომის და რევოლიუციების ხანაში, ქართველი ხალხი კიდევ უფრო მეტად საჭიროებს კულტურულ და სამეურნეო შემოქმედებით მუშაობის გაჩაღებას. ამ მუშაობაში უნდა ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა ცოცხალი ძალა. ჩვენ ერს სჭირია ძალების უდიდესი დაზოგვა. ემიგრაციის საქმიანობა—ამ დაზოგვას ხელს უშლის.

მრავალი ქართველი სამშობლო ქვეყანას და ცოცხალ საქმეს მოწყვეტილია. დამშვიდებული მუშაობის ატმოსფერა საშუალებას მისცემს ამ ხალხს დაუბრუნდეს თავის ქვეყანას და თავისი ძალღონე მოახმაროს ერის კეთილდღეობას.

საქართველოს ემიგრაციის პოლიტიკა კი გართულების პოლიტიკაა. მისთვის ფუჭად ჩაიარა 1924 წლის აგვისტოს გაკვეთილებმა. ჩვენ საჭიროდ ვსთვლით გადაჭრით და უყოყმანოდ განვაცხადოთ, რომ აჯანყება ან და საამისო მუშაობა საქართველოში მიგვაჩნია უდიდეს დანაშაულათ ქართველი ერის წინაშე და წინააღმდეგობას გავუწევთ ყველა იმათ, ვინც მოისურვებს ქართველი ხალხი ავანტიურის ქსელში ჩააბას.

საჭიროა ეს საკითხი სამუდამოთ მოიხსნას დღის წესრიგიდან, საჭიროა სამუდამოთ უარყოფილ იქნას ის გზა და მეთოდები, რომელნიც ქართველ ერს ართმევს საშუალებას დამშვიდებულად იმუშავოს თავის ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად გაუმჯობესებისათვის“.

# ვინ ღალატობს ქართველ ხალხს

მართლაც რომ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა და შუაშუა დიდი ზვარი უზის.

ადამიანმა ყველაფერი შეიძლება დასწეროს. ქაღალდი ყოველიფერს დაიტევს. შეიძლება დღეს ღამე უწოდოთ და ღამეს კი დღე. ეს ყველაფერი შეიძლება. მაგრამ ცოტაოდენი ლოღიკაც საჭიროა.

დაივიწყეთ ერთ წუთს, რომ თქვენ ბოლშევიკებმა დიდათ გაგაჯავროთ. დაივიწყეთ დროებით, რომ ბოლშევიკებმა თქვენ ხელიდან გამოგტაცეს ხელისუფლება.

თუ ამას შესძლებთ, მაშინ წარმოიდგინეთ 1903—1905 წლები, როცა განხეთქილება უკვე იყო ს.-დ. პარტიაში, მაგრამ ყველა ამხანაგები ვიყავით, ყველა ერთად ვცდილობდით, ერთად ვმუშაობდით და ვამზადებდით ნიადაგს თვითმპყრობელობის ჩამოსაგდებად, მისი გასანადგურებლად.

იყო მაშინაც აზრთა სხვა და სხვაობა, იყო კამათი და შეატკება, მაგრამ ამისათვის ერთი მეორეს ჯაშუშს არ ვეძახდით. ჯაშუში ის იყო, ვინც ღალატობდა ჩვენს საერთო საქმეს, ღალატობდა რევოლიუციას, ღალატობდა ჩუმათ, ფარულათ.

აი ვინ იყო, აი ვის ეძახოდენ ჯაშუშს.

იყო მაშინაც შემთხვევა, რომ ამხანაგები იცვლიდენ აზრს და ერთი ფრაქციიდან მეორეში გადადიოდენ. რამდენი მაგალითები იცის ჩვენი პარტიის ისტორიამ, რომ ხშირად ბოლშევიკი ხდებოდა მენშევიკი და წინააღმდეგ.

ასეთ ამხანაგებს, მართალია, რენეგატებს ვეძახდით, მაგრამ ეს ისე ზერელედ, გულის მოსაფხანად და აბა ვის

მოუვიდოდა აზრად, რომ ჯაშუში ეწოდა ნიკო ელიავას, ვალიკო ჯუღელისთვის და სხვებისთვის, რომლებიც ერთი ფრაქციიდან - მეორეში გადავიდენ. რამდენი მენშევიკი იყო ლენინის მხარეზე ლიკვიდადოტორის ხანაში? თვითონ ნოე რამიშვილი ერთ დროს წმინდა წყლის ბოლშევიკი იყო, მაგრამ მისი გამენშევიკება არავის არ აუხსნია მისი გაჯაშუშებით.

ასეთი შემთხვევები აუარება იყო, მაგრამ ერთი მეორეს ჯაშუშს არ ვეძახდით.

დღეს რა მოხდა!

სად წავედით ჩვენ ათი ათასობით ძველი მუშები, თქვენი ფრაქციის ყოფილი წევრები?

განა წავედით რევოლიუციის წინაალმდეგ!

,განა უღალატეთ წითელ დროშას, რევოლიუციის, საერთო საქმეს?

არა და არა!

ჩვენ მივედით ჩვენს ამხანაგებთან, ჩვენ მივედით ლენინის მოძღვრებასთან, მივედით იმ ამხანაგებთან, რომლებმაც წითელი დროშა სუფთად და უმწიკვლოდ შეინახეს და შეინარჩუნეს.

და მერე ეს ჯაშუშობაა?

განა ჯაშუშობაა ლენინიზმის აღიარება, იმ ლენინიზმის, რომელიც საუკეთესო გამომხატველი და გაგრძელება მარქსიზმის?

არა და ათასჯერ არა!

ასეთი ნაბიჯი შეიძლება მართლაც იყოს ჯაშუშობა, მაგრამ ვისი თვალსაზრისით? მხოლოდ მონარქისტების, მხოლოდ შავრაზმელების თვალსაზრისით... და თქვენზე ხომ არ ითქმის: ქურდს ქუდი ეწვისო?!

თუ თქვენ ასეთები ბრძანდებით, მაშინ სულ სხვაა.

წითელ დროშას ჩვენ მხოლოდ ერთ დღეს დავშორდით, აი მაშინ, როცა იგი სასახლეზე ნაციონალური სამფეროვანი დროშით შევცვალეთ...

აი მაშინ დავშორდით ჩვენ წითელ დროშას. მაგრამ თქვენ ალბათ, გეხსომებათ, რომ მაშინაც ჩვენ ძველი მუშები, წინაალმდეგი ვიყავით წითელი დროშის ღალატისა. დამნაშავე ვართ, რომ ვეღარ გამოვიჩინეთ იმდენი რევოლიუციონური გამბედაობა, რომ შევბრძოლებოდით. დამნაშავე ვართ, რომ გრძნობებს დავემორჩილეთ და თქვენი სიყვარული საქმეზე მაღლა დავაყენეთ.

ეს ჩვენი მხრით სისულელე იყო და ამ სისულელემ ჩვენ ოთხიოდე წელი დაგვიღუპა, ამიტომ იყო, რომ თქვენ შესძელით აგვისტოს ავანტიურის მოწყობა... აი მაშინ კი ვსთქვით:

— **კმარა. მეტის ატანა შეუძლებელიაო.**

ჩვენ ეს ვსთქვით თამამად, ხმა მაღლა, ყველას გასაგონად. ჩვენ ვსთქვით, რომ ჟორდანია - რამიშვილი დანაშაულს სჩადიან ქართველი ერის წინაშე.

ჩვენ ვსთქვით, რომ მენშევიზმმა დაკარგა სოციალისტური გზა - კვალი; რომ ის ჩამოშორდა რევოლიუციას, რომ ის გადაიქცა ბურჟუაზიისმცველად! ჩვენ ხმამაღლა ვსთქვით, რომ ჩვენ მუშები სოციალისტები ვართ და ამიტომ ჩვენ უნდა მივიდეთ სოციალისტებთან, კომუნისტებთან, რომლებიც, რა თქმა უნდა, ჩვენ შემცდარათ არ მიგვაჩნდა, მაგრამ ის კი ვიცოდით, რომ თავისი საკუთარის თვალებით დავინახეთ, რომ კომუნისტური პარტია ერთად - ერთია, რომელიც მთელ სამყაროში იცავს სოციალიზმს, იცავს მშრომელ კაცობრიობას, პროლეტარიატს, ერთად-ერთი პარტია, რომელსაც ხელთ უპყრია ჩვენი საყვარელი წითელი დროშა.

ჩვენ ეს ვსთქვით, ვიმეორებ, ხმამაღლა, თამამად და განა ეს ჯაშუშობაა!

განა თქვენზე არ ითქმის: ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალითო?

ვინაა ჯაშუში? ვინ ღალატობს ქართველ მშრომელ ხალხს?

აბა კარგად ჩაუფიქრდით: რა დააბარეთ თქვენ თქვენს ემისარს ქარცივაძეს?

აიყვანეთ აღრიცხვაზე ყველა, ვინც მოგეწონოსთ და ჩვენად იგულისხმეთო...

ისარგებლეთ შემთხვევით... ომი აუცილებელია, ჩაიგდეთ ძალა-უფლება ხელშიო და შემდეგ ჩვენ გადმოგვეცითო.

ხალხის ჩუმათ აღრიცხვაზე აყვანას რა სახელი ქვია, თუ არა პროვოკატორობა? აი თქვენი ნამდვილი სახელი, რომელსაც თქვენ ვერასოდეს ვერ მოიშორებთ თავიდან. ხალხს საკუთარი ხელისუფლების ღალატს უქადაგებთ, ამას რა ქვია თუ არა პროვოკატორობა?

ვისთვის და რისთვის შვრებით ამას? იმპერიალისტებისთვის, მათი ინტერესების დაცვითი მიზნით! მერე ეს ქვეყნის გაყიდვა არ არის? რატომ გაქვთ კომუნისტური პარტიის, ამ ერთად-ერთი სოციალისტური პარტიის დაღუპვის იმედი?

რას ხედავთ მაქ, პარიზში?

ვერ ხედავთ მაქ გრანდიოზულ მიტინგებსა და დემონსტრაციებს მაქაური კომუნისტებისას, რომელთა რიცხვი წლობით კი არა, საათობით იზრდება?

თქვენ ყველა ამას ხედავთ და ნუ თუ ეს არაფერს არ ეუბნება თქვენს გაბოროტებულს და გაქვავებულს გონებას?

იქნება იმის იმედი გაქვსთ, რომ ჩინეთის რევოლიუცია შესუსტდა. იქნება იქ საქმე [illegible] ული გა[illegible] ა ამით ჩინეთის რევოლიუციის მომხრე და მოსარჩლე კომუნისტები დაიღუპებიანო?

რა ჩქარა დაგვიწყებიათ 1905 წელი, სახელოვანი 1905 წელი?

ჩვენ ხომ დავმარცხდით ამ წელს? მაგრამ თებერვალ ოქტომბერმა დაგვანახვა, რომ ეს დმარცხება მოჩვენებული იყო. ჩვენ ჩვენის თვალებით დავინახეთ, რომ რევოლიუციის პირველი საყვირის ხმაზედვე აღსდგა დამარცხებული რუსეთის მშრომელი ხალხი. ლომივით ეკვეთა მტერს და ერთი იერიშით დალეწა ძველი რუსეთი. შეიძლება ჩინეთის რევოლიუციამაც ჩვენი პირველი რევოლიუციის ბედი გაიცადოს. მაგრამ ეს არ იქნება მისი დამარცხება. ჩვენ ვიცით, რომ „დამარცხებულ“ ჩინეთსაც მალე დაუდგება თავისი ოქტომბერი.

ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, და ვისაც არა სწამს, მას არაფერი არა აქვს საერთო სოც. რევოლიუციასთან, არც სოციალიზმთან. მისთვის ტყვილათ ჩაუვლია 1905 წლის გაკვეთილს.

თქვენ, ჟორდანია - რამიშვილებო, იმედი გაქვსთ ინგლისის და სხვა ქვეყნის იმპერიალისტებისა, თქვენ სოციალიზმის მტრებს სთხოვთ დახმარებას სოციალისტური ქვეყნის წინაალმდეგ; თქვენ ყოფილი მეფის პემკვიდრეებისაგან არ თაკილობთ ფულების აღებას.

ამ ფულებით თქვენ ემისრებს აგზავნით საქართველოში ამბოხების მოასწყობათ. თქვენ ამზადებთ უდანაშაულო ხალხის ამოჟლეტას. თქვენ გსურთ დაღუპოთ ქართველი მშრომელი ხალხი, რომელიც დღეს ძარღვებ დაჭიმული თავის საკუთარ ხელისუფლებასთან შებმია ქვეყნის აღმშენებლობის მძიმე უღელში.

აბა დაფიქრდით: რას ჩადიხართ! მაგრამ რას ვამბობ: შეუძლებელია თავდაღმართში დაგორებული ქვის სიტყვებით შეჩერება.

თქვენც ხომ ამ თავდაღმა დაგორებულ ქვის მდგომარეობაში ხართ!

ს. დოლიძე.

# „ბრძოლის“ კალმოსანი დ. გ. შარაშიძე

ამხანაგები მეუბნებიან, რომ ხელმოუწერელი წერილის ავტორის გამომჟღავნება ლიტერატურაში მიუღებელიაო.

შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს. მაგრამ მე ლიტერატორი არ გახლავართ და მაშასადამე არც მომეთხოვება ლიტერატურული ჩვეულებების დაცვა. მე უბრალო ძველი მუშა გახლავართ და მხოლოდ ის ვიცი, რომ სირცხვილია ადამიანმა რაღაც ფსევდონიმს ამოეფაროს, მოწინააღმდეგეს კი საკუთარი სახელი და გვარი უწოდოს და ლანძღვა-გინებით ამკოს იგი.

ჩემის აზრით კი იმაზე უკადრისი საქციელი არ არის, როგორც ის, რომ მწერალმა ხელმოუწერელ წერილებში ყოველგვარი სიბილწე და სისაძაგლე თავს დაანთხიოს მოწინააღმდეგეს და მას საშუალება კი არ მისცეს ამ სისაძაგლის ავტორსაც გაუსინჯოს ბინძური კბილები და ქვეყანას მისი ზნეობრივი ყვლა-დიდება დაანახოს.

ასეთი წესი ბურჟუაზიულ პრესისთვის დაგვითმია. ამ გზას ვერ დაადგება მუშათა რევოლიუციონური პრესა. ყოველ შემთხვევაში მე ამ უკანონო კანონს ვერ დავემორჩილები და ნებას მივცემ თავს „ბრძოლის“ ყოვლად უნიჭო მჯღაბნელს, რომელიც „გაკვრის“ სათაურით (მართო ეს სათაური რადა ღირს! ალბათ, ეს მას აქ, ავლაბარში შეუთვისებია ყარაჩოღელ ბიჭებთან ლოთი - ფათობის დროს!) ყოველ თვიურად ლანძღვა-გინების თაიგულს უძღვნის ჩვენს მოწინავე ამხანაგებს, ნიღაბი ავხადო და მკითხველებს დავანახო მისი ფიზიონომია.

ამ სიბინძურის ავტორი ბრძანდება ტფილისის სარდაფეფსა და საროსკიპოებში კარგად ცნობილი მოქ. დავით გიგოხძე შარაშიძე, რომელიც დღეს პარიზში ცხოვრობს და ჟორდანია-რამიშვილის უკბილო „ბრძოლის“ ფურცლებზე ანთხევს თავის ჩვეულებრივ სიბინძურეს და მას ქართველი ემიგრაციის სმკურნალო ბალზამათ აცხადებს

ვინ ბრძანდება მოქ. დავით შარაშიძე?

რა რევოლიუციონური სტაჟის პატრონია??

რა სამსახური მიუძღვის მას მუშებისა და გლეხების წინაშე?

ჩვენ ამ კითხვებზე ვერავითარ პასუხს ვერ მივიღებთ ჩვენში ამ ვაჟბატონს იცნობენ მხოლოდ და მხოლოდ, როგორც ლოთსა, ზედმიწევნით უზნეო და გარყვნილ ადამიანს.

ეს ის დავით შარაშიძე ბრძანდება, რომელსაც ყოველ კვირაში ერთ-ორხელ მაინც მოზელდენ ტფილისის სარდაფებში მისგან აბეზარს მოსული ყარაჩოღელი ბიჭები. ეს ის დავით შარაშიძე ბრძანდება, რომელსაც ტფილისში ფეხით სიარული ძალიან ძნელად ეხერხებოდა; ყოველ შემთხვევაში მას უმეტეს ნაწილად ხელით მიასვენებდენ სახლში ნაცნობ-ნათესავები სარდაფებსა და საროსკიპო სახლებში ყარაჩოღელი ბიჭებისაგან ნაცემ-ნატყეპი.

აი ეს დავით შარაშიძე დღეს პარიზში ცხოვრობს და ქართველი ხალხის ჭირისუფლობაზე თავს სდებს.

როდის იყო, რომ ეს გახრწნილი და ზნე დაცემული ადამიანი ხალხის ინტერესებს იცავდა? იქნება მას გონია, რომ რაკი ის პარიზში დაბრძანდა და ჟორდანია-რამიშვილების ჭამიტლაკიაობა იკისრა, ეს დიდი რევოლიუციონური დამსახურეგაა ქართველი ხალხის წინაშე?

ჩვენ კარგად ვიცნობთ მოქალაქე დავით შარაშიძეს და „ბრძოლის“ ფურცლებზე სიმყრალის ნთხევა კი არა. რაც პარიზში საპონია ყველა რომ დახარჯოს, ისიც ვერ გასწმენდს მას ქართველი მშრომელი ხალხის თვალში.

ამისთვის საჭიროა აქვე მოვიყვანოთ ხალხისადმი მისი „ნამსახურობის“ ერთი—ორი ნიმუში.

დავით შარაშიძე ერთ დროს საზღვარ-გარეთ სწავლობდა; ბოროტი ენები კი მოგახსენებენ, რომ ყავახანებსა და გარყვნილების სახლებში ათენ-აღამებდა და სწავლისთვის სადღა სცალიაო. მაგრამ, დამეთანხმებით, საზღვარ-გარეთ სწავლაც თავის თავად არ წარმოადგენს დიდ დამსახურებას ხალხის წინაშე. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ მის მშობლებს შეძლება ქონებიათ შვილი საზღვარ-გარედ სასწავლებლად გაეგზავნათ და არა სადმე ზეინკალის ან სტოლიარისთვის მიებარებიათ, როგორც ამას ჩვენი მშობლები ახერხებდენ... საქმე ის არის თუ, როგორი დაუბრუნდა მოქ. დავითი თავის სამშობლოს? რა შესძინა, რა სარგებლობა მოუტანა მან მშრომელ ხალხს??

ამის შესახებ ისტორია სდუმს. მან იცის მხოლოდ ის, რომ დავით შარაშიძე ერთ დროს საქართველოში „მოღვაწეობდა“, როგორც აბრეშუმის თესლით მოვაჭრე ფრანგულ ფირმის ნოქარი თუ აგენტი და ენერგიულად ეწეოდა „აგიტაცია-პროპაგანდას“ ამ ფირმის საქონლის გასაღებისთვის.

ისტორიამ იცის, რომ მოქ. დავით შარაშიძე ამ ხელობასაც ვერ შერჩა დიდხანს: მან ლოთი-ფოთობას თავი ვერ გაანება. რაღაც შარცხი მოუვიდა და სამსახურიდან პანღურით გამოისტუმრეს...

ამის შემდეგ ის კარგა ხანს „მოღვაწეობდა“ ტფილისის სარდაფებსა და საროსკიპო სახლებში. როცა ფულები გამოელია და ნისიათ არ ენდეს, გაუყვა სპარსეთისაკენ და იქ ცნობილი აკაკი ხოშტარიას ტყის კონცესიაში მონახა მყუდრო ნავთსაყუდარი. ან მისი ლექსიკონით რომა ვთქვათ: „მსუქანი ბაგა“.

და სწორედ აქ სპარსეთში პირველად გამოიჩინა მოქ. დავით შარაშიძემ თავისი „რევოლიუციონერება“ და მუშების სიყვარული.

რაში მდგომარეობდა ეს მისი „რევოლიუციონერობა“.

მოგახსენებთ... აკაკი ხოშტარიას მრავალი ქართველი მუშები ყავდა თავის ტყის კონცესიაში. სპარსეთში, აკაკი ხოშტარიასთან გარბოდენ აქ, სამშობლოში, უმუშევრად დარჩენილი მუშები და გლეხები. იქ მრავლობით იყრიდენ თავს ისეთი რევოლიუციონერი მუშებ, რომლებსაც აქ, საქართველოში, ჟანდარმები დასაჭერად დასდევდენ. ასეთი მუშა იშოვნიდა სხვის პასპორტს, გადაითქვამდა სხვის სახელს და გარბოდა სპარსეთისაკენ. ერთი ისტყვით, აკაკი ხოშტარიასთან გარბოდა ყველა ის, ვისაც თავის სამშობლოში ბედი არა სწყალობდა და რომლის უკან დაბრუნებაც ერთი სახიფათო იყო. ეს კარგად იცოდა მოქალაქე ხოშტარიამ და მისმა აგენტებმა და ისინი კარგადაც სარგებლობდენ მუშის ასეთი მდგომარეობით.

რაღა ბევრი შევაწუხოთ: უმისოდაც მიხვდებით, რომ სპარსეთის ტყეებში აუტანელი იყო მუშის მდგომარეობა. დიდი ლაპარაკიც და მითქმა - მოთქმის შემდეგ სოფ. ტულარუდში ხე - ტყის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ეს იყო 1912 წელს. გაფიცულების რიცხვი 2000 აღემატებოდა. გაფიცულებმა ხოშტარიას წარუდგინეს მოთხოვნილება შრომის ხელფასის გადიდებისა და საერთოდ შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ...

და აი სწორედ აქ, სპარსეთში, სოფ. ტულარუდში, გავეცანით მოქ. დავით შარაშიძის „რევოლიუციონურ“ მოღვაწეობას“.

მოქ. შარაშიძე, როგორც ხოშტარიას კონცესიის აგენტი, მობრძანდა ენზელიდან ტულურუდში და შეუდგა ხოშტარიას დავალების პირნათლად ასრულებას:

—როგორ ბედავთ ხოშტარიას წინააღმდეგ გაფიცვების მოწყობას. — ის აქ უდიდეს ქართველურ საქმეს აკეთებსო?

მოქ. დავითი უფრო სასტიკად მოეპყრო იმ მუშებს, რომლებსაც როგორც ეს მან ჩინებულად იცოდა, საქართველოდან გაქცეული იყვენ, როგორც რევოლიუციონური მოღვაწეები და რომლებიც სხვისი პასპორტით ცხოვრობდენ:

— ეს სულ თქვენი ბრალია. თუ მოთხოვნილებები უკან არ წაგიღიათ და მუშაობა არ დაგიწყიათ, სულ ყველას დაგიჭერთ და საქართველოში გაგაგზავნით. მოქ. დავითი დახვრეტითაც კი ემუქრებოდა გაფიცულ მუშებს, რომლებმაც გაბედეს და მოთხოვნილება წარუდგინეს იმ

ხოშტარიას, რომლის ნასუფრალითაც მაშინ იგი ცხოვრობდა.

ასეთ როლს თამაშობდა მოქ. დ. შარაშიძე სპარსეთში ეს იციან ქართველმა მუშებმა, ამას არასოდეს არ დაივიწყებენ ისინი. და მოქ. შარაშიძე ტყუილად ფიქრობს მის მიფუჩეჩებას.

ეს კაცუნა ჩვენ თბილისშიც ვნახეთ, სადაც რევოლიუციის შემდეგ მანაც იპოვა „მსუქანი ბაგა“ ნოე რამიშვილის ჯამიტლაკიებს შორის. რაღაცას რუსულ გაზეთ „ბორბა“-შიც ხლაფორთობდა. თავისი ახალი „ხაზეინის“ ნ. რამიშვილის „გენიოსობას“ აქებ-ადიდებდა. უმეტეს ნაწილად კი ისევ თბილისის სარდაფებსა და საროსკიპო სახლებში მოღვაწეობდა...

როცა მეორე ინტერნაციონალის ლიდერები გვესტუმრენ, დავით შარაშიძე კოწია გვარჯალაძესთან ერთად, მათ პირფარეშათ იყო...

ეს არის და ეს. ეს არის მოქ. დავით შარაშიძის მთელ ნამსახურობის სია. ეს არის მისი „რევოლიუციონური ბრძოლის“ სტაჟი.

დღეს ეს კაცუნა პარიზში ცხოვრობს და ჟორდანია-რამიშვილის ჯამსა ტლაკავს. უკეთეს ადგილს ან სად მონახავდა? იქ ბურჟუაზიის ნასუფრალიდან რამდენიმე ფინჩხა მასაც ხომ ერგება და მეტი პრეტენზიები არასოდეს არ ქონია ამ სხვისი ნასუფრალით გალაღებულ კაცუნას.

მოსულები გადმოგვცემენ, რომ პარიზში მისი ბედი უფრო კარგად მოეწყოვო. ეს ადვილი დასაჯერებელია, რადგანაც, თბილისის სარდაფებსა და საროსკიპო სახლებს, პარიზის კაფეები, თურმე, ათას წილად სჯობია... და დავით შარაშიძეს აბა მეტი რა უნდა?

როგორც იგივე მოსულები გადმოგვცემენ, თურმე მან ჯერ კიდევ სტამბოლში დაიწყო რეპეტიციები. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო ამბობენ და რა გასაკვირია, რომ დავით შარაშიძემაც ვერ უღალატა თავის ჩვეულებას და სულ ერთიანად მისცა თავი ლოთობასა და გარყვნილების ტალღებს. აქ, ალბათ, არც ისე „უზრდელად“ ეპყრობიან მას, როგორც თბილისის პადვლებში ყარაჩოღელი ბიჭები. მაგრამ აქ მას ნოე ხომერიკი გაუჩნდა კბილის მატლად ამ წუმპეში გორაობისთვის ერთი მაგრად უთავაზა მან მოქ. დავით შარაშიძეს. ეს იყო იმ დღეს, როცა სტამბოლის ქართველობამ გაიგო სამწუხარო ამბავი ამხ. სილიბისტრო ჯიბლაძის გარდაცვალებისა და როცა ყველა თავს დათალხულად გრძნობდა. დავითმა ამ დღესაც ვერ შეიკავა თავი: ჩვეულებრივად იჭყუპალავა გარყვნილების ტალღებში და ღამე გალეშილ - გაოხრებული მიადგა ნ. ხომერიკს, რომელმაც კარგად წათავაზების შემდეგ კარში გამოაგდო იგი.

დღეს ეს კაცუნა გამოსულა და თავის ჩვეულებრივ სიბინძურეს ანთხევს ყნოსვასა და გრძნობა დაკარგულ „ბრძოლის“ ფურცლებზე. დღეს ეს ქონდრის კაცი რევოლიუციონერობას უწუნებს, გაყიდულებსა და ქვეყნის გამყიდველებს ეძახის ჩვენს ამხანაგებს: პეტრე გელეიშვილს, ივანე გომართელს, მიშა ძამანაშვილს და სხვებს.

რა გვეთქმის? აქაც მართალია ხალხის თქმულება: მელას რაც ენატრებოდა, ის ესიზმრებოდაო.

გასალახანებულ, გაყიდულს, სხვისი ნასუფრალით თავის რჩენას დაჩვეულ დავით შარაშიძეს სხვებიც ასეთი გონია.

დაე იგინოს, დაე ანთხიოს მან თავისი სიბინძურე „ბრძოლის“ ფურცლებზე. აგვისტოს რაინდებს ასეთი სურნელება ყველაზე უფრო შეეფერება. რომის პაპის ლოცვის მადლმა და ძალმა ნუ მოუშალოს მათ ასეთი დოვლათი.

ჩვენში კი ისეთს ვერვის იპოვნიან, რომ მათ ამ სიბინძურის გოდორზე დაეცილოს.

**სანდრო გვიმრაძე.**

# ძველი მუშების ხმა

დღეს მთელი მსოფლიო ორ სამკვდრო-სასიცოცხლო ბანაკად არის გაყოფილი. ერთ მხარეზე სდგას მსოფლიო იმპერიალიზმი და მისი იდეური დამცველი მსოფლიო მენშევიზმი მეორე ინტერნაციონალში შეკავშირებული. მეორეში რევოლიუციონური პროლეტარიატი, მესამე ინტერნაციონალის მეთაურობით.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის ფარი და ხმალი მუშათა კლასისა, მან გამოაღვიძა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი, მან საუკუნის ძილიდან გამოაღვიძა აღმოსავლეთის დამონებული ხალხები.

ვისთან უნდა ვიყოთ ჩვენ, საქართველოს მშრომელები: მუშები და გლეხები? რომელ ბანაკში უნდა ვიყვეთ?

მგარამ თვით ასე კითხვის დაყენებაც რაღაც უხერხულად მეჩვენება; მეშინიან ამით შეურაცყოფა არ მივაყენო ქართველ მუშებს და გლეხებს, რომლებმაც დიდი ხანია რაც თავისი საკუთარი სისხლით გასცეს პასუხი ამ კითხვაზე, რომლებმაც დიდი ხანია აირჩიეს რევოლიუციონური ბრძოლის გზა და თავისი ბედი შეუერთეს მათსავით ტანჯულ პროლეტარიატის ბედს. ქართველ მუშებს და გლეხებს დიდი რევოლიუციონური წარსული აქვთ. მათ მართლაც შეუძლიათ იამაყონ თავისი ლამაზი რევოლიუციონური წარსულით.

მაშასადამე, ვინ გაბედავს დღეს ქართველ მუშებს და გლეხებს ჰკითხოს: სად ხარ? ვისთან ხარ?

ასეთ კითხვას მას არც ჩვენ ვაკადრებდით, მაგრამ ეს კითხვა მას შეკადრეს ქართველი ემიგრაციის ბელადებმა, რომლებიც ქართველ ხალხს მოუწოდებენ რევოლიუციის მოღალატეობისა და გამცემლობისაკენ. ქართველ მუშებს და გლეხებს მოუწოდებენ მახვილი ჩასცენ გულში რევოლიუციის მებაირახტრე კომუნისტურ პარტიას და იმპერიალისტების აგენტების როლში გამოვიდენ, ამ მიზნით მოგვიწყეს ჟორდანია-რამიშვილმა 1924 წლის აგვისტო, ამ მიზნით, ცდილობენ ისინი მეორე აგვისტოს განმეორებას უფრო დიდი მასშტაბით.

რისთვის დაგვჭირდა 1924 წლის აჯანყება? ვისთვის იყო იგი საჭირო? ქართველი ხალხისათვის? არა, ის საჭირო იყო იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ მისთვის, რომ კომუნისტებს ყოველგვარი გართულება მოუწყონ როგორც შინ, ისე გარეთ. ეს აჯანყება საჭირო იყო ქართველი პროლეტარიატის მიერ ევროპაში განდევნილი სოც. - დემოკრატიული პარტიის უჯარო გენერლებისათვის, რომლებსაც ამით სურდათ დაემტკიცებიათ თავისი მწყალობელ იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობისათვის, რომ ქართველ ხალხი მათ, ჟორდანია-რამიშვილს უჯერებს და მაშასადამე ისინი ღირსნი არიან იმპერიალისტური სახელმწიფოების ყურადღებისა.

დღეს მთელ მსოფლოში ომის სუნი ტრიალებს. მსოფლიო იმპერიალიზმი და მენშევიზმი ირაზმება მსოფლიო კომუნიზმის და მისი მებაირახტრე მოსკოვის წინააღმდეგ.

სად უნდა იქნეს ამ დროს ქართველი ხალხი? რა თქმა უნდა მოსკოვთან, რა თქმა უნდა კომუნისტებთან ერთად იარაღით ხელში უნდა ებრძოლოს მან ყველა ქვეყნის სოციალიზმის მტრებს, ხალხის მჩაგვრელებს, სხვისი შრომის მიმთვისებლებს, მთელი მსოფლიოს ქურდებსა და ყაჩაღებს.

ქართველ ხალხს ამას ავალებს არა მარტო რევოლიუციისა და სოციალიზმის ინტერესები, ამასვე ავალებს მას მისი საკუთარი ეროვნული, მისი პატარა ქვეყნის საქართველოს ყოფნა - არ - ყოფნის საკითხიც.

ვიფიქროთ, რომ მომავალ მსოფლიო ომში მსოფლიო იმპერიალიზმმა დაამარცხა მოსკოვი. მაშინ რისი მოწამენი ვიქნებით? მაშინ აღსდგება ყოფილი რუსეთის იმპერია, რომანოვების საგვარეულოდან გამოსულ კრე-

ტინის მეთაურობით... მაშინ მშვიდობით ყოფილი რუსეთის იმპერიაში მობინადრე პატარა ერების თავისუფლებავ! მშვიდობით საქართველოს დამოუკიდებლობავ! მშვიდობით მისი დამოუკიდებლობის ეკონომიური საფუძვლების აღმშენებლობავ!. მაშინ მთელი ჩვენი სიმდიდრე გაგვიქრება ხელიდან, რადგანაც რუსეთის იმპერიალიზმი ისეთსავე პოლიტიკას დაიწყებს ჩვენში, როგორსაც აწარმოებდა რევოლიუციის მიერ დამარცხებული „ცარიზმი“.

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია შეიგნო, რომ მისი ხსნა სოციალიზმშია — ამიტომ გაიღო მან სოციალიზმისათვის უამრავი მსხვერპლი.

ამას მტკიცება არ ესაჭიროება, ეს ყველა ჩვენთაგანისათვის აშკარაა. და თუ ეს ასეა, იქვე არ არის, რომ ყოველი მშრომელი ქართველი: მუშა და გლეხი უნდა იდგეს კომუნისტების რიგებში, მათთან ერთად უნდა მოღვაწეობდეს, მათთან ერთად უნდა ებრძოდეს საერთო მტრებს, სოციალიზმის მტრებს, საიდანაც და რა ტანსაცმელშიც არ უნდა გამოვიდენ ისინი.

ამიტომ ყველა ჩვენგანი უნდა ვიდგეთ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

ეს არის ჩვენი სოციალისტური, რევოლიუციონური და ეროვნული მოვალეობა.

**ილია მანდარია.**

**II**

ჩვენ, მუშებს არ გვაქვს დიდი თეორეტიული მომზადება, არ გვაქვს შეძლება კალმით გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, მაგრამ დღევანდელი მომენტის გამო ჩვენი სიჩუმე დიდი ბოროტება იქნება. ინგლისის კარნახით პოლონეთი, რუმინეთი და დანარჩენი პატარა სახელმწიფოები დღეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ირაზმებიან.

სამწუხაროდ, მათ გვერდში უდგას პარიზში შექმნილი ა.-კ. „განმანთავისუფლებელი კომიტეტი“, რომელიც ცდილობს სისხლის მორევში შეაცუროს ა.-კ. მობინადრე ერები.

ჟორდანია - რამიშვილი არ სცხრებიან: მათ კიდევ განუზრახავთ აგვისტოს ავანტიურის განმეორება. ამისათვის მათ კიდეც გადადგეს ნაბიჯი სადირექტივო წერილების გამოგზავნის სახით. ჩვენ დარწმუნებით გავეცანით მათი წერილების შინაარსს. ავსწონ-დავსწონეთ და დავაფასეთ იგი.

და ამის შემდეგ, ასეთ კრიტიკულ მომენტში, ჩვენი დუმილი შეუძლებელია, კიდევ მეტი: ჩვენი დუმილი პირდაპირ დანაშაული იქნება, როგორც რევოლიუციისა და სოციალიზმის წინაშე, ისე ქართველი მშრომელი ხალხის და მთელი ერის წინაშე. ასეთ გადამწყვეტ მომენტში ჩვენი დუმილი დანაშაული იქნება მიტომ, რომ საზღვარგარეთ გახიზნული საქართველოს ბოროტი სულები თავისებურად გაიგებენ ჩვენს სიჩუმეს. ისინი, ალბათ, იფიქრებენ, რომ ჩვენ ვსდუმვართ, იმიტომ, რომ მათ თანაუგრძნობთ... თანაუგრძნობთ, მაგრამ რადგან ამისი თქმა არ შეგვიძლიან, ვსდუმვართ, და როცა მომენტი დაგვიდგება, მათთან ერთად ვიქნებით.

მაშ, ნუ შევიყვანთ შეცდომაში ქართველი ხალხის ამ ბოროტ სულებს, ვუთხრათ მათ ხმა მაღლა და გარკვეულად, რომ ჩვენ არა თუ მათთან არა ვართ, პირიქით: ჩვენ მათი მოსისხლე მტრები ვართ და რომ ის იმპერიალიზმი, რომელსაც ისინი საბჭოთა საქართველოზე უსისიანებენ, საქართველოს საზღვრებზე გვიხილავს ჩვენ იარაღით ხელში წითელ ლაშქართან ერთად მებრძოლებს.

მაშ, ნუ შევიყვანთ შეცდომაში ჟორდანია - რამიშვილებს. ერთხელ და სამუდამოთ უთხრათ მათ: ნუ იწუხებთ თავს ჩვენთვის. ჩვენ უკვე მოვნახეთ ჩვენი სიცოცხლის მიზანი, ჩვენ უკვე მოვნახეთ სწორი გზა, გზა რომელსაც მივყევართ სოციალიზმისაკენ, გზა, რომელსაც ჩვენი ერი მიყავს დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლებისაკენ და კულტურულ - ეკონომიური აღორძინებისაკენ.

ერთხელ და სამუდამოთ ვუთხრათ ჟორდანია - რამიშვილებს: ჩვენ ვიბრძვით და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ მათ წინააღმდეგ.

**ა. საგინაძე.**

# ვენის ტრაღედია და მემარცხენე ს.-დემოკრატიის როლი

ჩვენ ყოველთვის იმ აზრის ვიყავით, რომ ის სტაბილიური მდგომარეობა, ის „ურყევი“ წონოსწორობა, რომელიც დამყარდა ევროპაში განვლილი საერთაშორისო ომების და რევოლიუციის შემდეგ, მეტის-მეტად ზერელე იყო. ბურჟუაზიული მეცნიერების მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს არსებული ეკონომიური და პოლიტკური წყობილება სავსებით გამაგრებულიყოს, სინამდვილეს არ შეეფერება.

მართალია, ევროპის მმართველმა წრეებმა სოციალდემოკრატიული პარტიების დახმარებით თავის დროზე (1919 და 1920 წ.), მაგალითად გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში შესძლეს სოციალისტური რევოლიუციის დამარცხება. გაიხსენეთ ბელაკუნის საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება უნგრეთში და ბერლინში ნოსკეს დიქტატურა, რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო ბერლინის რევოლიუციონური პროლეტარიატი, რომელიც იბრძოდა საბჭოთა წყობილების დასამყარებლად და აგრეთვე გახულიგნებული აფიცრების მიერ ლინჩის წესით მოკლული კომუნისტური პარტიის ბელადები, ბერლინის მებრძოლი პროლეტარიატის ხელმძღვანელები კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი.

დიახ, ევროპის ბურჟუაზიამ შესძლო უშუალოდ რევოლიუციონურ სიტუაციისათვის თავის დაღწევა, მაგრამ მისი მდგომარეობა მაინც ვერ არის სავსებით გამოკეთებული და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი წყობილება არ არის მტკიცე: ის მეტის-მეტად მერყევია და არ არის იმის გარანტია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის არ აფეთქდება.

სწორედ ასე სვამს საკითხს ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ავსტრიაში.

რა მოხდა?

სრულიად ჩვეულებრივი რამე.

ბურჟუაზიულმა სასამართლომ გაამართლა ის ფაშისტები, რომლებმაც ამას წინად ავსტრიაში ორი მუშა მოჰკლეს.

აქ უჩვეულო არაფერია. ფაშისტებს ესარჩლება და ამართლებს არა მარტო ავსტრიის კლერიკალური იუსტიცია (დღეს ავსტრიაში კლერიკალების მთავრობაა), ფაშისტებს მფარველობენ და ამართლებენ ევროპის ყველა სახელმწიფოები. ფაშისტურ-ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთა მიზანს მუშების და მათი ლიდერების ხოცვა-ჟლეტა შეადგენს, სავსებით ლეგალური ორგანიზაციებია. გარდა ლეგალობის მინიჭებისა ამ ორგანიზაციებს ფინანსიურად ეხმარება და ტეხნიკურად წვრთნის თვით ბურჟუაზიული მთავრობები.

ფაშიზმი დღეს მარტო იტალიური მოვლენა როდია. მართალია, მას იტალიაში ხელთ უპყრია სახელმწიფო ძალა-უფლება. მაგრამ ფაშისტები დღეს სრულიად ჩვეულებრივ და თანაც კანონიერ მოვლენად არის მიჩნეული დასავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოებში დღეს ცენტრალურ ევროპისა ყველა პუნქტებში არსებობენ ფაშისტური ორგანიზაციები.

საერთაშორისო ბურჟუაზიამ სოციალისტურ რევოლიუციის მოლოდინში დაუპირდაპირდა მუშათა მოძრაობას და რადგან მუშათა მოძრაობა ინტერნაციონალურია. ბურჟუაზიამაც ასეთივე ინტერნაციონალური ორგანიზაცია მოაწყო მსოფლიო ფაშიზმის სახით.

ამიტომაა, რომ დღეს ფაშისტური ორგანიზაციები

არსებობენ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, ფინეთში და სხვაგან და ყველა ესენი შეკავშირებული არიან ერთი მიზნით და ეს მიზანია შეურიგებელი ბრძოლა პროლეტარიატისა და მისი ავანგარდი კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

მართალია, ბურჟუაზიული მთავრობები თავისი ჯარებით, პოლიციითა და ჟანდარმერიით, რასაკვირველია, გააფთრებით ებრძვიან რევოლიუციონურ პროლეტარიატს, მაგრამ ეს მთავრობები მაინც იძულებული არიან ერთნაირი „უფლებრივი ნორმების" ფარგლებში დარჩნენ, გარეგნობით მაინც დაიცვან კანონიერება და „კონსტიტუცია". ფაშისტები კი ასეთ მოჩვენებულ „კანონიერებასაც" კი არ ეფარებიან. ისინი პირდაპირ, უნიღაბოდ გამოდიან ქვეყნის წინაშე, სრულიად გაშიშვლებულები, ისინი არ სცნობენ არავის წინაშე პასუხისმგებლობას და სრულიად დაუსჯელად აწარმოებენ თავის შავ საქმეს.

და აი, ავსტრიის სატახტო ქალაქ ვენაში, დემოკრატიისა და პარლამენტის ქვეყანაში, სადაც თუ ბურჟუაზიის და მენშევიზმის ლიდერებს დაუჯერებთ, უნდა არსებობდეს პიროვნების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, იმ ქალაქში, სადაც გაბატონებულია ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, რომლის ხელშიც იმყოფება როგორც ქალაქის სამმართველო, ისე პოლიციის პრეზიდენტი, აი, ამ ქალაქში სტიქიურად მოხდა რევოლიუცია.

ეს იყო პასუხი იმ ბურჟუაზიის ყოვლად ცინიკურ მართლმსაჯულების კარიკატურაზე, რომელმაც მუშების მკვლელი საზიზღარი ფაშისტების დამცველის როლში გამოვიდა. რომ ვენის მუშების მედგარი გამოსვლა იყო სტიქიური, ამას დღეს თვითონ ფაშისტების პრესა და ს.-დ. პარტიის ლიდერებიც ადასტურებენ. ამაში მაინც არ სდებენ ბრალს კომუნისტების პროპაგანდა-აგიტაციას. ეტყობა, ევროპაში უამისოდაც საკმაოდ ყოფილა მომზადებული რევოლიუციისათვის ნიადაგი და ევროპის ბურჟუაზიამ კიდევ ერთი კარგი გაკვეთილი მიიღო იმის, რომ მას არა აქვს უფლება თავი უშიშროებაში იგრძნოს და რევოლიუცია თავიდან მოცილებულად ჩასთვალოს.

ბურჟუაზია და მისი დამცველი მენშევიზმი დარწმუნებული იყვენ მუშების სრულ ლოიალობაში, მაგრამ საკმაო შეიქნა მუშების ინტერესების ოდნავად შელახვაც კი, რომ ეს ვითომდა ლოიალურად განწყობილი მუშები ფეხზე დამდგარიყვენ და იარაღით ხელში შებრძოლებოდენ თავის კლასობრივ მტერს—ბურჟუაზიას, ფეხით გაეთელათ მისი საზიზღარი მკვლელებისა და ყაჩაღების დამცველი კანონები.

რევოლიუციის ცეცხლით აღგზნებული ვენის პროლეტარიატი ერთი თვალის დახამხამებაში ცეცხლს უკიდებს და ფერფლად აქცევს ბურჟუაზიის „მართლმსაჯულების" სახლს. ქუჩებში სწვავს მის ყოვლად უკანონო კანონებს.

მუშები არ უშინდებიან პოლიციის და ჯარების მუქარას. ისინი იჭერენ ქალაქის თვითმართველობის სახლს, ფოსტა-ტელეგრაფისა და სხვა დაწესებულებების შენობებს.

ვენის პოლიცია და ავსტრიის ფაშისტური სამხედრო რაზმები, როგორც მოსალოდნელი იყო, ტყვიის მფრქვევლებით შეხვდენ პროლეტარიატის გამოსვლას. მაგრამ ყველაზე უფრო სიმპტომატიურია ბურჟუაზიისათვის ის, რომ ჯარმა უარი განაცხადა მუშების წინააღმდეგ გამოსვლაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდა ვენის პროლეტარიატის ეს სტიქიური გამოსვლა. და ეს მით უფრო ადვილი შეიქნა, რომ რევოლიუციონურ მუშებს უღალატა და მის წინააღმდეგ გამოვიდა მენშევიზმის მემარცხენე ფრთამ. რევოლიუციის ჩაქრობაში უდიდეს როლს თამაშობდა ვენის ქალაქის თავი **ზეიცი**, რომელიც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიამ წარგზავნა ამ ადგილზე. ამ თანამდებობაზე უფრო საპასუხისმგებლო ადგილი ავსტრიის სოციალ-დემოკრატებს არ მოეპოვებათ.

ვენაში სამი მილიონი მცხოვრები ითვლება. ეს კი მთელი ავსტრიის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენს, რადგანაც ვერსალის მოდუსმა ავსტრიას მხოლოდ ექვსი მილიონი მცხოვრები შეანარჩუნა. აი, ასეთი ქალაქის თავი, სოციალ დემოკრატიის წარმომადგენელი ზეიცი, აძლევს ბრძანებას პოლიციის პრეზიდენტს ტყვიის მფრქვევლებით დაეხვრიტათ ვენის მებრძოლი პროლეტარიატი. აქედან აშკარაა. რომ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა, უნდა ვიფიქროთ ამ პარტიის ნებართვით, ქუჩებში დახვრიტა თავისი ამხანაგი მუშები.

ასე ვერაგულად უღალატა ვენის მებრძოლ პროლეტარიატს იმ „ავსტრომარქსიზმის" სკოლის სოც.-დემოკრატიამ, რომლის ლიდერებიც ბრძანდებიან: ოტტო ბაუერი, ადლერი და კომპ., აწ უკვე განსვენებული ორ-ნახევარი ინტერნაციონალის ავტორები და მესვეურები.

ოტტო ბაუერი მეორე ინტერნაციონალში ცნობილია, როგორც „მემარცხენე" ელემენტის მეთაური. ის ხშირად ფარისევლურად გამოდის საბჭოთა კავშირის ვითომდა მოსარჩლედ. მას არა ერთხელ პათოსით განუცხადებია: „შორს საბჭოთა კავშირისაგან იმპერიალისტების სისხლიანი ხელებით"...

ოტტო ბაუერი 1925 წელს მარსელის სოციალისტურ კონგრესზე ეუბნებოდა ქართველ მენშევიკებსა და რუს ესერებს: „თქვენ არ შეგიძლიათ თავისუფლად და ობიექტიურად იმსჯელოთ მაშინ, როცა საკითხი ბოლშევიკებს ეხება, რადგან თქვენ ბოლშევიკებმა თავის დროზე ძლიერ გაგანაწყენათთ".

სწორედ ამ სიტყვების შემდეგ შეიძულა ის ნ. ჟორდანიამ და თავის წერილებში, რომელიც მან დაბეჭდა „ბრძოლის" ნომრებში „ნახევრად ბოლშევიკი" უწოდა მას.

ასეთია ოტტო ბაუერი, როცა სიტყვების მეტი არაფერი ეხარჯება. თუ როგორია იგი, როცა საქმე ამ სიტყვების განაღდებას მოითხოვს, ეს ჩვენ დავინახეთ ვენის რევოლიუციის ჩაქრობის საქმეში. მაგრამ მუშების სისხლი ძვირად დაუჯდებათ ოტტო ბაუერსა და მის პარტიას. არ შეიძლება მათი ასეთი ვერაგობა არ დააფასოს ვენის პროლეტარიატმა, რომლის უმეტესობაც, სამწუხაროდ და სავალალოდ, დღემდე მათ უცხადებდა ნდობას.

მალე, სულ მალე მოსთხოვს მათ პასუხს ვენის პროლეტარიატი, რომელიც კიდევ გამოვა ბრძოლის ველზე უფრო მომზადებულ-დარაზმული, მალე მოევლინება ის შურისმაძიებლად „საშინელი" კომუნისტების სახით.

ეს მწარე გაკვეთილი ამაოდ არ ჩაივლის ვენის პროლეტარიატისათვის. მუშების დაღვრილი სისხლი აუხელს მას თვალებს. ის ჩამოშორდება მოღალატე რეფორმისტებს და მონახავს თავის ნამდვილ გზას, ნამდვილ დროშას: გვერდში ამოუდგება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს და ვენის რატუშზე აღმართავს კომუნიზმის დროშას.

**ალ. ხელაძე.**

# ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესი

ამ დღეებში დასრულდა პარიზში მოწვეული ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის მორიგი კონგრესი.

ამ კონგრესის მუშაობის გაცნობასთან დაკავშირებით, ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ პროფესიონალური მოძრაობის როლი და ამოცანები მუშათა კლასის შეკავშირებისა და მათი ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პროფესიონალურ მოძრაობას კაპიტალისტურ ქვეყნებში საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს. კერძოდ ინგლისის ტრედიუნიონები პროფესიონალურ ორგანიზაციებში ყველაზე ძველი ორგანიზაციაა. რაც შეეხება რუსეთის პროფმოძრაობას, აქ პირველად ისინი ჩამოყალიბდენ 1905 წლის რევოლიუციის დროს, მაგრამ რეაქციის გამარჯვებასთან ერთად პროფესიონალრმა კავშირებმაც შესწყვიტეს მოქმედება და თუ სადმე ასეთები არსებობდენ, ისი

ნი არალეგალურ პირობებში იყვენ ჩაყნებულნი.

მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც საერთოდ მუშათა მოძრაობა, ისე პროფესიონალური კავშირებიც დაიყო რამოდენიმე ჯგუფებად.

საგრძნობი უმრავლესობა პროფესიონალურ კავშირებში გაერთიანებულ მუშებისა შედის ამსტერდამის პროფესიონალურ ინტერნაციონალში, საბჭოთა კავშირის პროფესიონალური კავშირები, რომელიც ათ მილიონამდე მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს და აგრეთვე მთელ რიგ სხვა ქვეყნების მემარცხენე პროფორგანიზაციები გაერთიანებულია წითელ პროფინტერნში.

რაც შეეხება ჩრდილო-ამერიკის და ზოგიერთ წვრილი ქვეყნების პროფესიონალურ კავშირებს, ისინი არ შედიან არც ამსტერდამის გაერთიანებაში და არც პროფინტერნში.

კერძოდ ამერიკის პროფკავშირების ბიუროკრატებისათვის, რომელსაც 33 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ცნობილი დაუძინებელი მტერი **გომპერსი** და რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა არა ნაკლები რეაქციონერი **გრინი,** ამსტერდამის ინტერნაციონალის მუშაობა მათ მიაჩნიათ მეტათ „მემარცხენეთ“ და ამიტომ აცხადებენ უარს ამ ინტერნაციონალში შესვლაზე.

ასეთია მოკლეთ პროფკავშირების გაერთიანების საკითხი.

როგორი მდგომარეობაა დღეს ცალკე ქვეყნების პროფესიონალურ მოძრაობაში? ძლიერ სავალალო.

დავიწყოთ ინგლისიდან. ინგლისის თემთა პალატამ კონსერვატიული მთავრობის მოთხოვნით ამას წინად მიიღო პროფესიონალური მოძრაობის საწინააღმდეგო კანონი, რითაც საგრძნობლად შეზღუდულია პროფესიონალური კავშირების უფლებები. სამთამადნო მუშების გაფიცვის დამარცხების შემდეგ, ბურჟუაზია დღითი-დღე იერიშებზე გადადის და მუშებს ართმევს იმ მინიმალურ უფლებებსაც კი, რომელიც მათ ჰქონდათ დღემდის ბრძოლით მოპოებული.

საფრანგეთში პროფესიონალური კავშირები გაყოფილნი არიან ორ ნაწილად, ერთი მათგანი შედის ამსტერდამის ინტერნაციონალში, მეორე პროფინტერნში. აქაც ბურჟუაზია შესაფერისად სარგებლობს ამ დაქსაქსულობით.

უკეთესი მდგომარეობა არც გერმანიაშია; მართალია იქ პროფესიონალური კავშირები ერთ მთლიან ცენტრში არიან გაერთიანებულნი, მაგრამ პროფკავშირების ბიუროკრატები კავშირებიდან ერეკებიან იმათ, რომელთაც სურთ მსოფლიო პროფმოძრაობის გაერთიანება და ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა კლასის ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად. ბურჟუაზია აქაც თავს ესხმის მუშათა კლასის მონაპოვარს და შრომის ხელფასის შემცირებასთან ერთად ადიდებს სამუშაო დღეს. ბევრ წარმოებაში დღეს 10—11 საათის სამუშაო დღეა დაწესებული.

ფაშისტურ იტალიაში მუსოლინის ბრძანებით კარგა ხანია გაუქმებული იქნა პროფკავშირები და მათ მაგიერ შექმნეს ფაშისტური კორპორაციები.

რუმინეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში, სამხრეთსლავიაში და უნგრეთში სასტიკად იდევნებიან პროფკავშირების ის ხელმძღვანელები, რომლებიც ნამდვილად იცავენ მუშათა კლასის ინტერესებს.

კერძოდ რუმინეთში უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გაძლიერდა პროფკავშირთა ხელმძღვანელების დევნა.

ამ დღეებში დეპეშა გვაუწყებდა, რომ „მთელ რუმინეთში ხდება მუშათა მასიური დაპატიმრება. ტურგუმრესში დაპატიმრებულია 60 მუშა, მათ შორის უნიტარული პროფკავშირების ყველა ხელმძღვანელნი.. არადში პროფკავშირთა მრავალი მოღვაწე დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი სამხედრო სასამართლოს გადასცდის. ბუქარესტში დაპატიმრებულნი არიან მემარცხენე მუშათა მოძრაობის ყველა ბელადები“.

უკეთესი მდოგმარეობა არც დანარჩენ სახელმწიფოებშია, მაგრამ იმის წარმოსადგენად, თუ როგორი იერიშები მოაქვს ბურჟუაზიას მუშათა კლასზე, ესეც საკმარისია.

აქედან აშკარაა, თუ რამდენად აუცილებელია მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნა პროფესიონალური მოძრაობის გაერთიანებით.

კარგა ხანია, რაც საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა საბჭო ამ მიმართულებით ეწევა ენერგიულ მუშაობას, არ ზოგავს არავითარ საშუალებას მთლიანი ფრონტის შექმნის სასარგებლოდ, მაგრამ ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროკრატი ბელადები ყოველნაირად ხელს უშლიან მთლიანი ფრონიტის განხორციელების საქმეს.

დიდი ხანია ამსტერდამის ინტერნაციონალს გაეგზავნა პროფსაბჭოს მიმართვა საერთო კონფერენციის მოწვევის შესახებ, რომელსაც უნდა გამოემუშავებია პროფმოძრაობის გაერთიანების პირობები. ისინი დღემდისაც გაურბიან ამ პირდაპირ კითხვაზე პასუხის გაცემას.

თუმცა მოულოდნელი არაფერი მომხდარა, მაგრამ ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა ის უდაო დებულება, რომ ამ ინტერნაციონალის ხელმძღვანელებს არ სურთ დააყენონ მუშები კლასიურ ბრძოლის გზაზე და პროფესიონალური მოძრაობა ვერ გაერთიანდება მანამდე, სანამ მუშათა კლასი თავიდან არ მოიცილებს იმ ბიუროკრატ ხემლძღვანელებს, რომელნიც დღეს ამსტერდამის ინტერნაციონალის სათავეში არიან მოკალათებულნი.

მაინც რას მიაქცია უმთავრესი ყურადღება პარიზის კონგრესმა?

იქ ერთი სიტყვაც არ თქმულა არც ომის საშიშროების წინააღმდეგ, არც ჩინეთის რევოლიუციაზე, არც რვა საათის სამუშაო დღის დაცვაზე, არც კაპიტალისტური მთავრობების მიერ წარმოებულ შეიარაღების გაძლიერებაზე, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ჟენევის სამთა კონფერენციის ჩაშლაში. პროტესტიც არ განუცხადებიათ ამ დღეებში ვენის ქუჩებში პოლიციის მიერ მუშების მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის წინააღმდეგ.

კონგრესმა გაბედა მხოლოდ დელეგაცია გაეგზავნა ამერიკის პარიზის საელჩოში საკოსა და და ვანცეტის სიკვდილით დასჯის განაჩენის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად, მაგრამ კონგრესის დელეგაციის მიღება ამერიკის ელჩმა არ ისურვა და მხოლოდ საელჩოს მდივანმა მიიღო ის, რომელმაც აღუთქვა მას, რომ აცნობებს თავის მთავრობას „კონგრესის თხოვნას“.

კონგრესის მონაწილე **ფიმენმა** საელჩოს საქციელს „სილის გაწნევა“ უწოდა და ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო ფედერაციის სახელით, რომელიც მემარცხენე ჯგუფად ითვლება ინტერნაციონალში, მოითხოვა ამერიკული საქონლისთვის ბოიკოტის გამოცხადება, მაგრამ კონგრესის სხდომის თავმჯდომარე **ჟუომ** აქაც მონახა გამოსავალი და საკითხის პრაქტიკულად გამომუშავება. კონგრესმა დაავალა ინტერნაციონალის მომავალ აღმასკომს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოიკოტის გამოცხადების საკითხი სამუდამოდ მოიხსნა დღის წესრიგიდან.

კონგრესის მიერ განხილულ დანარჩენ საკითხებში აღსანიშნავია მერტენსის მოხსენება ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

ეს მთავარი საკითხი უნდა ყოფილიყო კონგრესის მუშაობის, მაგრამ დაკმაყოფილდენ მხოლოდ მშრალი რეზოლიუციით, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „კაპიტალისტები, რომელნიც გატაცებულნ არიან ეროვნული ეგოიზმით, უარს აცხადებენ განახორციელონ ამსტერდამის ინტერნაციონალის მიერ წარდგენილ საუცხოო მეთოდები საერთაშორისო ეკონომიურ აღორძინების მიღწევისათვის“.

თურმე ამსტერდამის ინტერნაციონალს გამომუშა-

ვებული ჰქონია საერთაშორისო ეკონომიური აღორძინების „საუცხოვო მეთოდები“, მაგრამ ეგოისტური ჟინიანობით შეპყრობილი ბურჟუაზია მას ცხოვრებაში არ ანხორციელებს.

მუშათა კლასის ორგანიზაციის ხელძმღვანელთა ამაზე უფრო გახრწნა წარმოუდგენელია. როდის იყო, რომ ბურჟუაზია მუშათა კლასისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა? ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელები კი ბურჟუაზიის იმედზე ამყარებენ მუშათა კლასის კეთილდღეობის საქმეს.

კონგრესს ერთი სასკანდალო საკითხის განხილვაც მოუხდა. ამსტერდამის ინტერნაციონალის მეორე მდივანმა—**ბროუნმა** გამოამჟღავნა ინტრენაციონალის გენერალური მდივნის **უდეგესტის** მიერ ჟუოსადმი მიწერილი წერილის შინაარსი.

ხსენებულ წერილში უდეგესტი სწერს: „გიგზავნი ტომსკისაგან მიღებული წერილის ფრანგულ თარგმანს. ეს წერილი ძალიან ცუდათ იყო შედგენილი ინგლისურ ენაზე. წერილი, როგორც მე მგონია, მოწმობს იმას, რომ რუსებს გულწრფელად სურთ ჩვენთან თანამშრომლობა. ამიტომ ვფიქრობ, რომ დროა გადავიდეთ იერიშებზე“.

აქედან ნათლად ირკვევა, თუ რაგვარ სიყალბეს ეწევიან ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიუროკრატები, როდესაც მასების თვალის ასახვევად გაიძახიან, რომ მოსკოვს არ სურს მთლიანი ფრონტის შექმნა, თორემ ჩვენ ამისათვის ყოველთვის მზად ვართო.

ისინი დარწმუნებული არიან, რომ თუ პროფესიონალური მოძრაობა გაერთიანდება ერთ მთლიან ინტერნაციონალში, შემდეგ ასე ადვილად ვერ შესძლებენ მუშათა კლასის თვალის ახვევას და ბურჟუაზიას ვეღარ გაუწევენ დაპირებულ სამსახურს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის ათ მილიონ მუშათა კლასის დელეგაციის ხმა, ყოველთვის შესძლებს ამხილოს და დღის სინათლეზე გამოიტანოს პროფესიონალ ბიუროკრატების დამღუპველი საქმიანობა.

კონგრესის მუშაობისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ავსტრიის დელეგაციის წინადადების უარყოფა, რომელიც მოითხოვდა ამსტერდამის ინტერნაციონალის წესდებაში შეტანილი ყოფილიყო მუხლი მეორე ინტერნაციონალთან დამოკიდებულებისა და აგრეთვე კლასიური ბრძოლის წარმოების აუცილებლობის შესახებ.

ორივე ამ წინადადების მიღება უდრიდა ამსტერდამის ინტერნაციონალის თვითმკვლელობას. ვინაიდან ეს ინტერნაციონალი თავის თავს აცხადებს ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებიდან დამოუკიდებელს. ნამდვილად კი ის მეორე ინტერნაციონალის ფილიალური განყოფილებაა.

რაც შეეხება კლასიური ბრძოლის წარმოების საჭიროების დადასტურებას. ეს ხომ თავის თავის უარყოფა იქნებოდა. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბელადები, მეორე ინტერნაციონალის ხემლძღვანელებთან ერთად ყოველ გზაჯვარედინზე ამტკიცებენ, რომ კლასიური ბრძოლა არ არის საჭირო მუშათა კლასისათვის, მას ბურჟუაზიასთან შეთანხმებით შეუძლია მოაგვაროს სადაო საკითხებით. ამიტომ არის, რომ ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებიან ეკონომიურ გაფიცვებს, პოლიტიკურ გაფიცვებზე ხომ ლაპარაკიც მეტია.

ამრიგად ამსტერდამის ინტერნაციონალის მორიგი კონგრესი ჩატარდა ისე, რომ მას არ მიუღია არცერთი ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი და მუშათა კლასისათვის სასარგებლო დადგენილება.

რა დასკვა უნდა გააკეთოს მსოფლიო მუშათა კლასმა კონგრესის მუშაობიდან?

მან ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნდეს, რომ როგორც მეორე ინტერნაციონალი, ისე ამსტერდამის პროფესიონალური ინტერნაციონალის ბელადები საბოლოოდ ჩამოშორდენ მუშათა კლასის საქმეს და დღეს ისინი მხოლოდ ხელისშემშლელ ორგანიზაციებად არიან მოვლენილნი ბურჟუაზიას და მუშათა კლასს შორის გაჩაღებულ კლასიურ ბრძოლაში.

ამიტომ, აუცილებლად საჭიროა მუშათა კლასის დარაზმვა ამ ორგანიზაციების ხემლძღვანელთა განსადევნად მუშათა კლასის ხელმძღვანელობიდან.

ამას კი ის შესძლებს თავიანთი ქვეყნების კომუნისტურ პარტიების დროშის ქვე თავის მოყრით და კომუნისტურ ინტერნაციონალში გაერთიანებით.

ს. ელი..ძე.

# ომი და სოციალ-დემოკრატია*)

(დასასრული)

ეხლა ვიკითხოთ, მართლა შესძლო თუ არა ევროპამ ომის შემდეგ წელში გამართულიყო ეკონომიურად და პოლიტიკურად. შესძლო თუ არა მან აღედგინა წარმოებაში ომის წინადროინდელი მდგომარეობა? ან ომის შემდეგ დროინდელმა საწარმოო პირობებმა, მისცა თუ არა კაპიტალისტურ ევროპას ომის სამაგიერო კომპენსაცია? დაამყარა თუ არა მან მსოფლიოში ნამდვილი ზავი?

ჩვენ ვამბობთ, რომ არც ერთი ამთაგანი.

ომმა, არამც თუ უწინდებურად, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას,—არამედ პირიქით, გაუვალ რკალში მოამწყვდია, რომლიდან გამოსვლა დღემდე ვერ მოუხერხებია. როგორც ზევით ვსთქვით მან მართლაც გასტეხა მსოფლიო მეურნეობის მექანიზმი და თავის შედეგებში სახელმწიფოთა შორის საჭირო და აუცილებელი ეკონომიური წონასწორობა დაარღვია.

თუ თანამედროვე სტატისტიკას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ 113 წლის განმავლობაში ნაწარმოები ომები ევროპას მხოლოდ 41 მილიარდი მანეთი დუაჯდა ოქროთი, ხოლო 4 წლის განმავლობაში კი 416 მილიარდი მანეთი, ე. ი. უკანასკნელი (მსოფლიო) ომი დაჯდა 10-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე პირველი.

416 მილიარდი მანეთიდან, მხოლოდ გერმანიამ დახარჯა 125,9 მილ. მანეთი,—ანტანტამ კი დანარჩენი 290,5 მილ. მანეთი .აქედან ცხადია. უნდა წარმოშობილიყო სახელმწიფოთა (განსაკუთრებით გერმანიისათვის) საერთაშორისო დავალიანება. უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში ევროპის დავალიანება უდრიდა 88 მილიარდ მანეთს ოქროთი, ხოლო 4 წლის კი 363 მილიარდს, ე ი. 1914 წ. 1918 წ. ომის გამო გამოწვეული დავალიანება 4—5-ჯერ მეტია, ვიდრე 1793—1914-მდე. თუ ყოველივე ამას მიუმატებთ იმ 20 მილიონამდე სამუშაო ცოცხალ ძალას, რომელიც მსოფლიო ომმა შეიწირა, ჩვენთვის ნათელი გახდება, ის პირობები, რომელიც შექმნილია საერთაშორისო კაპიტალისტური წარმოებისათვის საერთოდ.

როგორც ცნობილია, თანამედროვე კაპიტალისტური წამოება საერთაშორისო მოვლენას წარმოადგენს, ე. ი. რომ ნაციონალურ სახელმწიფოს ფარგლებში შესაძლებელი გახდეს ნორმალური წარმოება, ნორმალური ურთიერთობა, ქალაქსა და სოფელს შორის და სახელმწიფოსა და სახელმწიფოს შორის, ამისათვის თავდაპირველად საჭიროა არსებობდეს სახელმ;იფოთა შორის ნორმალური სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა. მსოფლიო ომმა სწორედ ეს ნორმალური ურთიერთობა, სხვადასხვა სამეურნეო ერთეულებს შორის მოშალა და დაარღვია.

ომის წიაღიდან, მსოფლიო რამოდენიმე სამეურნეო ერთეულად დაყოფილი გამოვიდა, რომელთა ინტერესები ურთიერთობისაგან არსებითად განსხვავდებოდა, მაგალითად: 1) რუსეთი, საბჭოთა ქვეყანაა, რომელმაც თავისი მეურნეობა სოციალისტურ ნიადაგზე მოაწყო და

*) იხ. „ახ. გზა“ № 29.

კაპიტალისტურ მეურნეობის ორონტრიალში ნაკლებ მონაწილეობას ღებულობს, 2) ამერიკა და იაპონია ომისაგან ყველაზე უფრო გამდიდრებული გამოვიდა და თავის ინტერესებს ვერასოდეს ვერ შეუთანხმებს, ანტანტის იმ გაძვალტყავებულ წევრებს, რომლებიც ომმა მსოფლიო ბაზარზე უკან დასწია, 3) საშუალო ევროპა ომიდან დეცემული გამოვიდა არა მარტო ეკონომიურათ, არამედ პოლიტიკურადაც, 4) ახალშენებმა ისარგებლეს მეტროპოლიის საწარმოო კრიზისით, რომელიც ომს მოჰყვა და ცდილობენ თავისი საკუთარი წარმოება მოაწყონ, 5) 400 მილიონიან ჩინეთში სკაუთარი-სუვერენული სახელმწიფოს და წარმოების მოწყობის სურვილის ნიადაგზე, ეროვნულ მოძრაობამ მოიკიდა ფეხი და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიულ სამყაროსთან.

ამრიგათ, როგორც ვხედავთ, ამ ეკონომიურ ერთეულებს შორის არ არის არავითარი საერთო მატერიალური ინტერესები.

ერთა ლიგა, რომელიც ომის შემდეგ დაარსდა და რომელსაც მიზნათ ჰქონდა მოეწესრიგებია ბურჟუაზიული ევროპის სოციალ-პოლიტიკური და ფინანსიური აწეწილი ცხოვრება, ამისათვის უძლური აღმოჩნდა. ფაქტურად მან ვერ მოაწესრიგა ვერც ერთი საკითხი. ამის მაგალითი უამრავია.

ანტანტა, რომელიც გულისხმობდა შეთანხმებითი „მუშაობას“ შეთანხმებითი „გამოსვლებს“, როგორც უმთავრესად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ისე საერთაშორისო ბაზარზე, ჯერ-ჯერობით ვერ შეთანხმდა საბოლოოდ ვერც ერთში და ვერც მეორეში.

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა განსაკუთრებით მტრობს საბჭოთა მთავრობას. სამაგიეროთ საფრანგეთის ბურჟუაზია იძულებულია „გარეშე ყოველივე წინასწარ. პირობისა“ იცნოს საბჭოთა ხელისუფლება.

რატომ? რომ გენ. დაუესეს გეგმამ საფრანგეთი შეურაცჰყო, იგი მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთა რიგში გადააქანა. ამას გარდა, როგორც ზევით ვსთქვით, საფრანგეთი, როგორც საშუალო ევროპის ერთი წევრი დაცლილია სისხლისაგან ომის გამო, ხოლო მისი მთავრობის მილიტარისტულ პოლიტიკას იგი კიდევ უფრო უფსკრულისაკენ მიჰყავს. ამრიგათ თითქოს იქმნება ინგლისის ევროპაში ბატონობისათვის ხელსაყრელი პირობები.

ამას გარდა საბჭოთა რუსეთისა და საფრანგეთის მატერიალური ინტერესები, ინგლისთან შედარებით ნაკლებ ეწინააღმდეგებიან ურთიერთს ინგლისს კი ეშინია საბჭოთა კავშირის.

სამაგიეროთ ეწინააღმდეგება ურთიერთს ინტერესები საფრანგეთისა და ინგლისისა ფრიად საყურადღებო პუნქტებში, როგორიცაა მაგალითად აზია, აფრიკა და ევროპა.

ასეთია მოკლეთ, ბურჟუაზიული ევროპის ინტერესთა ის ქსელი, რომელშიაც ის გახვეულია და ვერავითარი ბურჟუზიული აპოლოგეტების მზაკვრული პოლიტიკა მას იქიდან ვერ გამოიყვანს.

ევროპის მთელი რიგი გამოჩენილ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებისა როგორიცაა: ნიტტი, კაი და ლოიდ-ჯორჯი ერთხმად აღიარებენ რომ იმ, იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელსაც ამჟამად ადგილი აქვს ევროპაში, აუცილებლად მივყევართ ახალი მსოფლიო ომისაკენო და ეს ომი იქნება უფრო მეტად გამანადგურებელი, უფრო მეტად დამღუპველი, ვიდრე ის, რომელსაც ადგილი ქონდა ამ ცოტა ხნის უკანო.

— „ჩვენი მემკვიდრე თაობა, მომავალშიაც განიცდის უფრო საშინელ ტრაგედიას, ვინემ წილად ერგო ჩვენს თაობასო“ სწერდა რამოდენიმე წლის წინად ნიტტი. თავის წიგნში: „ევროპა უზავოთ“.

ქვემოდ მოყვანილი ცნობები, იმპერიალისტური სახელმწიფოების ხარჯებისა, სამხედრო შეიარაღებაზე ნათელ ყოფს ამ დებულებას. ასე მაგალითად:

| | 1913—14 წ. წ. ხარჯავდა. | 1922 წ. ხარჯავდა. |
|---|---|---|
| შეერთ. შტატ. | 316 მილ. დოლარს | 11.845 მილ. დოლ. |
| ინგლისი | 28.416.000 გრ. სტერ. | 164.750.000 გირ. სტ. |
| საფრანგეთი | 916.750.000 ფრანკს | 4.052 მილ. ფრან. |
| იაპონია | 97.645.515 იენს | 230 მილ. იენს. *) |

ეს ცნობები ეხება 1922 წ. მდგომარეობას. ომის სამზადისზე, რომ დღეს გაცილებით მეტი იხარჯება ევროპაში ეს ბავშვმაც კი იცის.

ამ რიგათ მთელ მსოფლიოში წამლის სუნი ტრიალებს. ჩინეთის ეროვნული მოძრაობა ომის შესაძლებლობას კატასტროფიული სისწრაფით ანვითარებს. ილესება მახვილი. და უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ყველაზე მჭრელი პირი, მიუხედავათ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ზემოხსენებულ ინტერესთა წინააღმდეგობისა, მიმართული იქნება საბჭოთა კავშირისაკენ.

დაუშვათ მოხდა ომი. მთელი ქვეყნის ბურჟუაზია თავს დაეცა საბჭოთა კავშირს. ვერ გასჭრა ევროპის პროლეტარიატის სოლიდარობამ. ვერ შეაკავა თავისი მთავრობა პროლეტარიატის დიქტატურაზე თავდასხმისაგნ. დაუშვთ, ისიც, რომ დაეცა საბჭოები. მერე? რას უნდა ველოდეთ რეაქციის მეორე დღეს?

„საბჭოთა ხიდან, დემოკრატია არ ჩამოვარდება“-ო წამოცდა ნ. ჟორდანიას „ბრძოლის საკითხებში“.

ეს მართალია. მთელი ასი პროცენტით. თუ საბჭოთა მთავრობის შემდეგ ვერ მივიღებთ დემოკრატიას, ვისთვის იბრძვის სოციალ - დემოკრატიული პარტიის „საზღვარგარეთელი ბიურო?“

იქნება ვისმეს ეგონოს, რომ რეაქციის მეორე დღეს ან იქ რუსეთში ან აქ საქართველოში დარჩება თუნდაც „დემოკრატიული უფლებების ნიშან წყალიც“. არა, ეს ილიუზია, თავის მოტყუებაა.

**საბჭოთა ხელისუფლების მემკვიდრე აუცილებლად ფაშიზმი იქნება იქაც რუსეთში და აქაც, ჩვენში, საქართველოში.**

კარგათ ესმის ეს ნოე რამიშვილს და მის კამპანიას, რომელიც როგორც სჩანს შესთანხმებია ამიერ-კავკასიის ყოველ ჯურის კონტრ - რევოლიუციონერებს პანების სამეფოში, რომ ყოველი პოლიტიკური გართულების მომენტში, მახვილი ჩასცენ ზურგში ამიერ - კავკასიის მშრომელთა მასებს.

— ჩვენს შემდეგ ქვა-ქვას დასდუღებიაო—ასე მსჯელობენ პილსუდსკის ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების ზურგს უკან მახვილის ჩაცემაში შეთანხმებული ვაჟბატონები. 1924 წლის აგვისტოს ავანტიურა არ აკმარეს ქართველ ხალხს. საბჭოთა კავშირთან ომს მოელიან გულის ფანცქალით. ომის მოლოდინში ითხზება ახალი გეგმები. ინტერვენციაზე და შეიარაღებულ აჯანყებაზე, იკვრება ბლოკი გადახვეწილ დაშნაკელებთან, მუსავატელებთან, ნაციონალ - დემოკრატებთან და ყოველი ჯურის კონტრ - რევოლიუციონერებთან.

ასეთია პრესის მიხედვით, საქმენი მათი საგმირონი.

ასეთ პოლიტიკურ კონიუნქტურის პირობებში რას აკეთებს მეორე ინტერნაციონალი? იქნება ის წინააღმდეგია მისი ქართული სექციის ასეთი კონტრ - რევოლიუციონური მოქმედების?

არა, მათ საქმიანობაზე კრინტსაც არა სძრავს. ამას წინად პარიზში გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესია, მისი დღის წესრიგში ერთი სიტყვაც არ არის ქართულ თანამოძმეების საგმირო საქმეებზე ნათქვამი.

რას იზამთ. ასეთია ისტორიის მწარე განაჩენი სასიკვდილოთ განწირულ ყველა იდეურ მიმართულებებზე. მათ მატარებლებს ჯერ ჭკუას წაართმევს და შემდეგ მოკლავსო—ამბობს ანდაზა. საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიისათვის ჭკუა-გონების წართმევის პროცესი დაიწყო მას შემდეგ, რაც სოციალ - დემოკრატია დაიბნა ჯერ 1914 წლის ომის საკითხში, შემდეგ, ზემოხსენებულ ფ.

*) იხილე—მსოფლიო ომი 1914—18 წ.წ. და მომავალი ომები.—პ. მ. პავლოვიჩისა.

ენგელსის ანდერძის ცხოვრებაში გატარების, პროლეტარიატის დიქტატურისა და სხვა.

პოლიტიკურად და იდეურათ დაბნეულ ხალხს, უნდა დააბნიოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. მაკკიაველური პოლიტიკის წარმოებით, მეორე ინტერნაციონალის „ბრწყინვალე“ წარმომადგენლები დღესაც იმეორებენ იმ შეცდომას, რაც მათ დაუშვეს მსოფლიო ომის წინ და მის პროცესში. მაშინ როდესაც ჩინეთის ხალხი სისხლს ღვრის ქუჩებში ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის „კეთილშობილ“ ევროპის ოჰეკისაგან განთავისუფლებისათვის, ინგლისის კონსერვატიული მთავრობა ახერხებს ჯავშნიან კრეისერების და შეიარაღებულ ბათალიონების ჩინეთში გაგზავნას, ეროვნულ - რევოლიუციონურ მოძრაობის ჩასაკვლელათ და ეს მაშინ, როდესაც მეორე ინტერნაციონალის ყველაზე უფრო ძლიერი სექცია ინგლისის მუშათა პარტიის მონაწილეობას ღებულობს პარიზში მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სესიაში. ნუ თუ ეს არ არის უტყუარი ნიშნები იმისა, რომ ეს ვაჟბატონები ყიდიან საკუთარ ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესებს? ნუ თუ ეს არ არის ღალატი საერთაშორისო რევოლიუციის? ნუ თუ ეს არ არის განზრახ განმეორება იმ პოზიციის, რომელიც ომის საკითხში 1914 წლის ომში ჩაიდინა საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიამ?

დიახ ყველაფერი ეს ფაქტია.

საქართველოს მუშათა კლასს მართებს ერთხელ კიდევ მოიგონოს სოციალ - დემოკრატიის საგმირო საქმენი, რომ ღირსეული პასუხი გასცეს ყველა იმათ ვინც სისხლში გასვრილი ხელებით მუშათა კლასის, ქართული ერის ინტერესებს ეპოტინება, და კიდევ ახალ ავანტიურისაკენ მოუწოდებს მას.

ვისაც სწამს ქართველი ერი, მისი უკეთესი მერმისი მისი ვალია იყოს ფხიზლად! თუ მიუხედავათ ჩვენი ათასჯერ გაფრთხილებისა. ვინმე მაინც მოისურვებს ავანტიურის განმეორებას. საფრთხეში ჩავარდნილმა აღარ უნდა სთქვას: „უკაცრავად, მაპატიეთ არ ვიცოდით რას ვშვრებოდითო“.

ვ. ანდღულაძე.

# ფიქრები მტკვრი სპირად

მაღალ გალავნით შემოფარგლულ ძველ ფეოდალთა კარ-მიდამოს ამთავრებს პატარა ლელიანი ტბა.

ისიც ისევე მომაკვდავია, როგორც მთელი ეს ბუდე წარსულ დროთა მებატონეებისა.

ყვითელ-მწვანე ფერი დაჰკრთის.

მის დამპალ წიაღებში დაბადებული ხაშმი ამძიმებს ჰაერს, როგორც სიკვდილის სუდარა.

ნელი სიკვდილით იხოცებიან მის კიდეზე მდგარი ბალახ-ბულახები...

სუსტი მცენარე ავადმყოფურად შეირხევა და კვლავ გაცბება სულთმობრძაობის თვლემაში...

ოდესღაც აქაც ყელყელაობდენ ფრთოსანთა ბრწყინვალე წარმომადგენელი გედები.

დღეს კი გამქრალან, მოსპობილან.

აქ ყველაფერში ჩამკვდარა სიცოცხლის ხალისი და ეშხი

გედების ნაცვლად აქ მალხაზობენ ხარბი გველები, ყბედი ბაყაყები, მსუქანი კოღოები.

აქ უხვად მიმობნეულია კოღოების თესლები, ბაყაყთა ქვირითები, გველის წიწილები.

ჩემს ყურადღებას ყველაზე მეტად ბაყაყები იპყრობენ.

ისინი, როგორც ყოველთვის, დღესაც რაღაცას მოსთქვამენ.

მიტაცებს მათი მოთქმა—კრუალი.

საღამოს ჟამს, იის ფერი ნაღვლიანობა რომ მოეფრქვევა-არემარეს, მივალ ტბის კიდეს და ყურს ვუგდებ განაბული.

ადამიანის გრძნობათა მიმღეობა მეტად ბლაგვია, თორემ ბევრს საიდუმლოებას გაიგებდა ბუნებისას...

როცა გრძნობანი მიმახვილდებიან—ბაყაყები ვილაც დავიწყებულ არსებებად მეჩვენებიან. მგონია, რომ მათ ოდესღაც უცხვრიათ, უოცნებიათ...

შემდეგ კი ვილაცას უბუნებოდ დაუსჯია: ბაყაყებად უქცევია.

შეიძლება მათ არც კი იციოდენ, თუ რად დაატყდათ ეს სასჯელი.

ან ეგება იცოდნენ კიდეც და მისთვის არიან ასე კაეშნიანები.

რა არის აქ გასაკვირველი?

ხომ შეიძლება ისინი სულები იყვენ იმ ხალხისა.

რომელთაც ოდესღაც ამ გაუქმებულ სრა სასახლეში უცხოვრიათ.

უყურჭუმალიათ ბიწიერების აუზში და მისთვის გასჯილან.

დაუსრულებელი ქვითინი მოუმკიათ ფუფუნებიან ცხოვრების მუქაფად.

მე ამ ტბის ახლოს ღამ-ღამით ყოფნა მეშინიან. ასე მგონია ტბიდან ამოძვრებიან ცოდვებით გაზუნზლული სულები, დამეჯაჯგურებიან და ჩამითრევნე მა ლექში... არა მწამან მოჩვენებანი და მაინც შიში მიპყრობს, მაძაგძაგებს. როცა ბატონების აჩრდილი მომაგონდება.

დ. თურდოსპირელი.

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## სწავლა-განათლების საკითხები

2.

ჩვენი სასწავლებლების მეტად მტკივნეულ მხარეს და დიდ ნაკლს წარმოადგენს პედაგოგიურად საკმაოდ მომზადებული და პოლიტიკურად გარკვეული და მარქსისტულად მოაზროვნე მასწავლებელთა კადრის სიმცირე.

დღევანდელ სასწავლებელს, რომელიც, სწავლების მეთოდით, ორგანიზაციის სისტემით და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით ასე დაახლოებულა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და მოვლენებთან, დიდი მოვალეობა და პასუხისმგებლობა აწევს, რაც პედაგოგიური პერსონალის დიდი უმეტესობისათვის კიდევ ვერ არის სავსებით გარკვეული და შეთვისებული. ზოგიერთი პედაგოგები, სამწუხაროდ, კიდევ ისეთ მოხელეებათ სთვლიან თავის თავს, რომლებიც განსაზღვრულ საათებში განსაზღვრული საგნების ახსნა-გადაცემით იწყებენ და ასრულებენ მთელ თავის მოვალეობას და დანიშნულებას სკოლის და მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე.

მათი ასეთი შემცდარი შეხედულება და გაგება მასწავლებლის მოვალეობისა და სკოლაში მუშაობის ხასიათის შესახებ, არა თუ საზიანოა, არამედ დიდი დანაშაული და ბოროტმოქმედებაა. ასეთ მასწავლებელს, რა თქმა უნდა, არ შეუძლია დღევანდელი სკოლის ხემძღვანელობა, სკოლის წინაშე დასმული რთული ამოცანების გადაწყვეტა, მოსწ. ახალგაზრდობის სასურველად მომზადება და აღზრდა. ინერტიულად და მეშჩანურათ განწყობილ და მოაზროვნე მასწავლებელს, არ შეუძლია მოსწავლე ახალგაზრდობაში სოციალისტური მორალის და მსოფლმხედველობის დამუშავება, საზოგადოებისათვის აქტიური, ჯანსაღი და გარკვეულად მოაზროვნე თაობის მიცემა. ეს მა-

რტივი, მაგრამ მნიშვნელოვანი ამოცანა სასწავლებლისა უნდა იცოდეს მასწავლებელთა კორპორაციამ და მტკიცე ხელით და აზროვნებით სცდილობდეს მის განხორციელებას.

არა მცირე ნაწილი ჩვენი პედაგოგებისა, რატომღაც, დღესაც, საქართველოს გასაბჭოების მეშვიდე წელში, მედიდურად ატარებს აპოლიტიურ სახეს, პრინციპიალურად იცავს სკოლის პოლიტიკის გარეშე დაყენებას და პედაგოგიური" „კვალიფიკაციის“ ვიწრო სფეროში ათავსებს და სწურავს მთელ თავის მოღვაწეობას.

ძლიერ დიდი შეცდომაა და ისტორიულად გაუმართლებელი მათი ასეთი შეხედულება: სკოლის ზეპოლიტიურ დაწესებულებათ გამოცხადება. ისტორიას არ ახსოვს ისეთი ხელისუფლება, რომელსაც თავისი სოციალური და პოლიტიკური სახე არ შეეტანოს სკოლაში, თავის გავლენის და ზედამხედველობის ქვეშ არ დაეყენებიოს ის, თავის კლასიური ინტერესებისათვის არ შეეთანხმებინოს სწავლა-განათლების საკითხები.

სახელმწიფოში პოლიტიკურად გაბატონებული კლასი, თავის პოლიტიკურ ჰეგემონიას ქმნის სკოლაშიც. ეს არც არის გაუგებარი და გასაკვირველი, რადგან სკოლა პირველი და მთავარი გასამაგრებელი ფრონტია გამარჯვებული კლასის მომავალის უზრუნველსაყოფად და განსამტკიცებლად. ეს ელემენტალური ჭეშმარიტება უნდა იცოდეს ჩვენმა პედაგოგებმა, რომ აქედან სათანადოთ დასკვნა გამოიტანონ; მათ უნდა დარწმუნდენ, რომ სკოლა ვერ დადგება პოლიტიკის გარეშე და მასწავლებლობას გარკვეული პოლიტიკური სახე უნდა შეჰქონდეს სკოლაში, გარკვეული პოლიტიკური სახით მიდიოდეს მოსწავლე ახალგაზრდობასთან. მასწავლებელის ზეპოლიტიური „ობიექტივობა“ რეალურად განუხორციელებელია პედაგოგიური „კვალიფიკაციის“ ვიწრო სფეროშიც, საგნების გადაცემის დროსაც. შეუძლებელეია, რომ ზოგიერთი საგნები ისტორია. პოლიტიკური ეკონომია და სხვა ობიექტიურად გაარჩიო და ახსნა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ცდა იმდენად შებორკავს თემას და წაართმევს მას შინაარსს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა ვერაფერს ისარგებლებს აქედან და იძულებული გახდება სახელმძღვანელოების სტრიქონებში ეძებოს პასუხი მის წინაშე ბუნებრივად წამოჭრილ კითხვებზე.

ამ მხრივ არც სახელმძღვანელოებს შეუძლია მისი დაკმაყოფილება, რადგან, საერთოდ, შეუძლებელია და მოუხერხებელია სახელმძღვანელოში თემების ასე ფართოდ გაშლა და, კერძოდ, ჩვენ სახელმძღვანელოს ხომ კიდევ უფრო მეტი ნაკლი აქვს გარდა ასეთი უნივერსალობისა.

ჩვენის აზრით, მასწავლებლობის მხრივ გარკვეული პოლიტიკური სახის შეტანას სკოლაში; მათ სულიერ და იდეურ დაახლოებას მოსწავლე ახალგაზრდობასთან აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რასაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პედაგოგიერუი მომზადება და გარკვეულობა საზოგადოებრივ საკითხებში. პედაგოგის ძველი კვალიფიკაცია დღევანდელ სკოლას ვერ დააკმაყოფილებს. სწავლების ეხლანდელი მეთოდი, პედაგოგისაგან მოითხოვს მეტ ცოდნას და მომზადებას, რადგან არც ერთი საგანი, მისი გადაცემის დროს, არ შეიძლება შემოფარგლო საგნის საზღვრებით და ფორმულებით, მოითხოვს, უფრო ფართოდ გარჩევას და მასთან დაკავშირებულ ყველა მოვლენების ახსნას.

ჩვენს მასწავლებლობას არც ამ მხრივ აქვს საჭირო მომზადება, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი სკოლის მოთხოვნილებას. ეს მომენტი მით უფრო საყურადღებოა, რომ მოსწავლეთა დიდი უმეტესობა დღეს სავსებით სკოლაზეა მინდობილი, ხოლო მასწავლებლობა მთელ საჭირო მასალას ჰკრებს მხოლოდ ეხლანდელ ზოგიერთ შემთხვევებში მეტად უხეირო სახელმძღვანელოებიდან. დროულია, რომ ამ ნაკლის გამოსწორებაზე ვიზრუნოთ, მასწავლებელთა კვალიფიკაცია და მომზადება შეუფარდოთ და შეუთანხმოთ სწავლების მეთოდს და სისტემას.

ყველა ამ ნაკლის აცილებაში, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მასწავლებელთა მატერიალურ მხარეს, ხელფასით უზრუნველყოფას. მასწავლებლობის დღევანდელი მატერიალური პირობები უსათუოდ ხელს უშლის სასურველი და მომზადებული კადრის შექმნას, კიდევ მეტი—იწვევს ასეთების სასწავლებლიდან გაქცევას და სხვა დარგებში გადასვლას. ყოველ შემთხვევაში, ისინი ძალიან ცოტა დროს ხარჯავენ თავის უშუალო მოვალეობაზე. სკოლის საქმეზე და კერძო პრაქტიკით არიან უფრო დაინტერესებულნი. საჭიროა, რომ ამასაც მიექცეს ყურადღება, გადიდებული იქნეს მათი ხელფასი პირველ რიგში და შესაძლებლობის მაქსიმუმი რაოდენობით.

არ იქნებოდა ზედმეტი და უსარგებლო, თუ აქაც, როგორც სხვა წარმოება-დაწესებულებებში, შემოვიღებდით მათ ინდივიდუალურად წამახალისებელ რაიმე ფორმებს, რომ ამით ავსწიოთ მათი შრომის ნაყოფიერება და კვალიფიკაცია.

ჩვენი სასწავლებლების რეალურად თავის სიმაღლეზე დასაყენებლად, მათ წინაშე მდგარი ამოცანების სასურველად გადასაწყვეტად და მუშათა კლასის ამ მთავარი ფრონტით გასამაგრებლად დიდი მნიშვნელობა ექნება ყველა ამ ნაკლის აცილებას, პედაგიურად მომზადებული და პოლიტიკურად გარკვეული სახის მასწავლებელთა კადრის შექმნას.

კ. ჭეიშვილი.

## ქართველ ემიგრაციის ლიდერების უკანასკნელი დასაყრდენი

საქართველოს სოც. დემ. და მისი იდეური ხელმძღვანელები ჟორდანია-რამიშვილები არ ისვენებენ, განაგრძობენ ძველ გზას, რამაც არა ერთხელ მიიყვანა მშრომელი ხალხი დაღუპვამდე და განადგურებამდე, კიდევ უმზადებენ ქართველ ხალხს ახალ აგვისტოს. მაგრამ, ცხადია, რომ ეს ილიუზია დარჩება მხოლოდ რამიშვილის გასართობათ, ეხლა აღარავინ გაყვება მათ, რადგან მენშევიზმა დაკარგა ყოველგვარი ფასი და გავლენა. იდეურად და პოლიტიკურად; დღეს ყველა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირში სავსებით დაცულია ჩვენი ნაციონალურ-სოციალური ინტერესები. ემიგრაციის ლიდერებმა უნდა დაიხსომონ, რომ ის მუშები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ეწეოდენ რევოლიუციონურ მუშაობას სოც. დემ. დროშის ქვეშ, დღეს ბოლშევიკების რიგებში სდგანან, მენშევიზმი მშრომელ ხალხში ველარ იპოვის თავის დასაყრდენს, განდევნილია მათი აზროვნებიდან.

დღეს არც ერთი სოციალ-პოლიტიკური კითხვა არ არის დარჩენილი, რომ მტკიცე სოციალისტურ პრინციპზე არ იყოს გადაწყვეტილი, როდესაც მენშევიზმის ბატონობის დროს საქართველოში, ოთხი წლის განმავლობაში, მათი შესწავლაც კი ვერ გახდა მოსახერხებელი.

აი, რამ გამოიწვია სოც. დემ. დიდი „პატრიოტების შისვლაც კი საბჭოთა ხელისუფლებასთან. მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთები მოსწავლე ახალგაზრდობიდან, რომელთაც არავითარი წარმოდგენა არ აქვთ პოლიტიკურ ბრძოლაზე და პოლიტიკურ საკითხებზე, დიდი რომანის გმირის სახელით გატაცებულივით, სრულიად შეუგნებლად იწყებენ ამ სამარცხვინო და ქვეყნისთვის საზარელ „საქმიანობაში“ მონაწილეობის მიღებას, რაშიდაც, დაპატიმრების შემდეგ, მალე ერკვევიან, ნაღვლობენ და ითხოვენ დანაშაულის პატიებას.

ჩვენი ვალია, რომ ახალგაზრდობის ამ ნაწილში გავაფართოვოთ პოლიტიკური მეცადინეობა, აუხსნათ მათ თუ რას აკეთებს სოც. დემ. და რას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლება , თუ სად უნდა იყონ ისინი, ვისთან და რას აკეთებდენ. ეს ახალგაზრდობა ჩვენ უადა ვიხსნათ ემიგრაციის პროვოკაციის ქსელიდან და აქედან გამომდინარე მორალური და პოლიტიკური სასჯელისაგან. ამის ინიციატივა უნდა აიღონ პოლიტიკურად გარკვეულ

მა ამხანაგებმა, განსაკუთრებით უნდა გაზარდოს მუშაობა ყოფ. ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციამ, რომელიც ერთგვარი გავლენით და ავტორიტეტით სარგებლობს მათ შორის.

ამ საქმეში ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა, რომ ემიგრაციის „საქმიანობას“ წაერთვას უკანასკნელი მისი დასაყრდენი.

ნ. ჯულელი.

### ერთობის უბანი

შაბათს, 30 ივლისს, ამხ. ლადო სუხიშვილის სახელ. კლუბში შესდგა ერთობის უბნის ყოფ. მენშევიკთა და ახალგაზრდა მარქსისტთა გაერთიანებული ქართველი ემიგრაციის „საქმიანობის“ შესახებ თათბირი, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. იოსებ გაბუნიამ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ვ. ფრაგიშვილმა, ანტ. შავგულიძემ და სხვ.

მოხსენების გარშემო თათბირმა გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „საზღვარგარეთ გადახვეწილი მენშევიკური ემიგრაცია, თავისი დღევანდგელი „საქმიანობით“, გამოდის ქართველი ხალხის უდიდესი გამცემი და გამანადგურებელის როლში.

დღეს, საქართველოში, ყველა ობივატელისათვისაც ცხადია, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ჟორდანია რამიშვილის „საქმიანობა“ არის პირადათ განაწყენები და შეურაცხყოფილი ხალხის უაზრო პროვოკაცია. ერთობის უბნის მუშები და მშრომელი ახალგაზრდობა ჩვენს მოვალეობათ ვსთვლით ვაცნობოთ მათ, რომ მთელი ქართველი დაუნდობლათ შეებრძოლება მათ ყოველგვარ ცდას მიმართულს ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების და მუშაობის წინააღმდეგ, კვლავ ავანტიურის მოსაწყობად.

შ—ძე.

# წერილები პროვინციიდან

### კეჩხობი

...ა არ იცის თუ ვისი განსაცხრომ ადგილს წარმოადგენდა ცაგვერში კეჩხობი. ვინ არ იცის, რომ კეჩხობის მიდამოები ბურჟაუზიის გართობისა და ფუფუნების ადგილს წარმოადგენდა და მუშებს მასთან ახლოს გავლაც არ შეეძლოთ. აქ განისვენებდა მხოლოდ მუშათა კლასის მოსისხლე მტერი ბურჟუაზია და მისი დამცველი და ერთგული დარაჯი მეფის ჩინოვნიკობა.

მაგრამ დახეთ მათ უბედურებას: მუშათა კლასის ძლიერმა მარჯვენამ ძირფესვიანად შესცვალა დეკორაცია: თუ გუშინ აქ მუშებისა და გლეხების კლასობრივი მტრები ატარებდენ დროს, დღეს აქ ისვენებს და ძალ-ღონეს იკრებს შრომით დაღლილ-დაქანცული მუშა.

რევოლიუციის ძლიერმა ტალღამ დაამხო ბურჟუაზიის ბატონობა. მუშების სისხლით და ოფლით შექმნილის სიმდიდრე და ბუნების სიუხვე იმავე მუშებს დაუბრუნა.

რამდენიმე წლის წინათ ბურჟუაზიის სჯფუფუნო, მოსასვენებელი ადგილი, დღეს ხელებ დაკოჟ[illegible]ებული მუშების ბინათ გადაიქცა. ოდესღაც დამონებული, დღეს კი ქვეყნის პატრონ-პატრონად გადაქცეული მუშები, ისვენებენ ლაღი ბუნების კალთებზე, იკრებენ ახალ ძალას და ემზადებიან ახალი აღმშენებლობითი მუშაობისთვის.

ჩვენ დღეს უდიდესი მიღწევები გვაქვს საკურორტო აღმშენებლობაში. ავიღოთ მაგალითად, ლიბანის სანატორიუმი, რომელიც სულ ახლო მომავალში დაიწყებს მოქმედებას.

ეს რაღაც არაჩვეულებრივი შენობაა, არაჩვეულებრივი მოწყობილობით! რამდენი ასი და ათასი ახალგაზრდა შეუძლია მან გადაარჩინოს სიკვდილს? რამდენი მოღლილ-მოქანცული შეუძლია დაიხსნას სიკვდილის ბრჭყალებისაგან და დაუბრუნოს მშრომელ ხალხს. სანატორიუმი საუცხოვოთაა მოწყობილი მზის ვანებით, გასართობებით, აივნებით, საკონცერტო განყოფილებებით და სხვადასხვა. ასე რომ ლიბანის სანატორიუმი უეჭველად ერთი უკეთესთაგანი იქნება ჩვენში.

წარსულთან შედარებით, არა ნაკლები წარმატება ეტყობა კეჩხობის დასასვენებელ სახლებს. აქ სოფპროფს შეუძენია 450 საწოლი და თვითეულ კაცზე თითო სელის სკამი, ოთახების მოწყობილობა პირველი ხარისხის სასტუმროს ნომრის მოწყობილობას არ ჩამოუვარდება.

მოწყობილია მზის მისაღები ვანები და დუში. სადილობამდე ქალები ღებულობენ ვანებს და ნაშუადღევს კი მამაკაცები. აბანო ძლიერ შორს იყო დაშორებული, წელს კი ის ახლოს აუგიათ და ყოველდღე 100 კაცს აკმაყოფილებს. აგებულია ახალი დასასვენებელი სახლი (№ 22), რომელიც ყველა სხვა ბინებს სჯობია, როგორც ჰაერით, ისე სინათლით, სიმაღლით და სხვა. ეს სახლი შესდგება 8 ოთახისაგან და იტევს ას სულამდე. შეკეთებულია მრავალი სახლები. გაკეთებულია გართობები: საქანელა, „გიგანტიური ნაბიჯი“ და სხვადასხვა.

დასასვენებელ სახლებში ზედმიწევნით წესრიგია დაცული, რაც ადმინისტრაციის უნარიანობას უნდა მიეწეროს, მართალია, აქვს ადგილი ხანდახან ახალგაზრდობის მიერ წესრიგის დარღვევს, მარა ადმინისტრაცია სასწრაფო ზომებს ღებულობს: ზოგს ითხოვს სულ დასასვენებელ სახლიდან, ზოგს კი აძლევს გაფრთხილებას, მარა ეს ვერ არღვევს მაინც საერთო წესრიგს და ყველა ეს წვრილმანები შეუმჩნევლად რჩება.

წელსაც შარშანდელი ადმინისტრაციაა, რომლების უნარიანობის წყალობით კეჩხობის დაჩა და დასასვენებელი სახლები კარგ პირობებშია. სადილი, სასმელ-საჭმელი საკმარისია და კარგი ხარისხის. აქაც შეხვდები უკმაყოფილებას, მაგრამ ასეთები სად არ არიან. ბევრი კაცი ოქროშიც რომ ჩასვათ მაინც უკმაყოფილო იქნება. არ ყოფილა შემთხვევა, რომ საჭმელის უვარგისობაზე რაიმე უკმაყოფილებას ჰქონოდა ადგილი.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალშიაც ასეთ უნარიანობას გამოიჩენს დასახელებული ადმინისტრაცია და კიდევ უფრო გააუმჯობესებს, როგორც დასასვენებელ სახლებს, ისე სასმელ-საჭმელს.

კ. მაჭარაძე.

### ფ ო თ ი

15 ივლისს შესდგა ქ. ფოთის ყოფ. ახალგ. მარქსისტთა და თანამგრძნობთა გაერთიანებული კრება. მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ხოფერიამ შემდეგ თემაზე: „ჩვენი გზა და ემიგრაციის ახალი პროვოკაცია“. ახალგაზრდობა ზიზღით დ აღშფოთებით შეხვდა ემიგრაციის ახალ გამცემლობას.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა საპროტესტო რეზოლიუცია. რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„პარიზის მუშაობა არის მხოლოდ პროვოკაცია და სისტემატიური გაცემა და დაბეზღება ქართველი ერის“.

1924 წ. ავანტიურით მათ უდიდესი ისტორიული დანაშაული ჩაიდინეს ხალხის წინაშე. და დღეს, როდესაც ისინი კვლავ აპირებენ ასეთის განმეორებას არ შეგვიძლია, რომ უდიდესი აღშფოთება არ გამოსვთქვათ ამ ყოვლად უპასუხისმგებლო და ხალხის მოღალატეთა წინააღმდეგ.

დამსწრე.

სარედაქციო კოლეგია.

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.